ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 22 (1357)

2-8 ივლისი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვაურება წერილზე „ვოგიტესე ჭადი, ვოგიტესავ ყველსა. სოციალისტები ვართ შენცა და მეცა, შენ გენაცვალეეე!.. ანუ რა ღირს მუჩაიძისაგან მსარდაჭერა?“

გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო გამოთქვამს უკიდურეს აღშფოთებას თქვენი გაზეთის (1993 წლის №21) პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ვინმე ღვინიაშვილის ცილისმწამებლური მასალის გამო, რომელშიც შელახულია პარლამენტის წევრის ბატონ გურამ მუჩაიძის და მთელი პარტიის სახელი და ღირსება.

თქვენს გაზეთში მოთავსებული პასკვილი შეიცავს ხუთ ცილისმწამებლურ ინფორმაციას:

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია შეიქმნა 1918 წელს. ილია ჭავჭავაძე კი მოკლეს 1907 წელს. ამიტომ უაზრობაა ჩვენი პარტიისათვის ილიას მკვლელობის გადაბრალება.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ბრალდება ბოლშევიკებს, რომლებიც ჩვენი იდეური წინაპრების — მენშევიკების დაუძინებელი მტრები იყვნენ. ამდენად, დღევანდელი სოციალ-დემოკრატების მიჩნევა ილია ჭავჭავაძის მკვლელების იდეურ შთამომავლებად არა თუ უვიცობა, მკრეხელობაცაა.

2. მოქმედი კანონმდებლობით პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს სახელმწიფოსაგან აიღოს კრედიტი ანუ ვალი. მაგრამ იმის გამო, რომ ვერ წარვადგინეთ საგარანტიო წერილი, ბანკმა უარი გვითხრა კრედიტის მოცემაზე. ასე, რომ ჩვენს პარტიას კრედიტი აღ, აუღია.

3. შესაბამის ორგანოებს ჩვენ ვთხოვეთ (თხოვნა ფორმალურად დაკმაყოფილებული იქნა) კრედიტის მოცემა ა.წ. მარტში. ეროვნული ბანკის ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკა კი ჩვენ დავიცავით ივნისში იმ დროს, როდესაც უკვე უარი გვქონდა მიღებული კრედიტის მოცემაზე იმ ბანკის მიერ, სადაც გვაქვს ანგარიში გახსნილი. ჩვენ დღესაც ვთვლით, რომ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა შეუძლებელია ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის გატარების გარეშე.

4. ბატონ გურამ მუჩაიძეს არასოდეს „ღირსებია“ კომპარტიის მნიშვნელოვანი პოსტი. იგი პარტიული აპარატის რიგითი ფუნქციონერიც კი არ ყოფილა.

5. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არა მარტო საბანკო მაქინაციების წინააღმდეგ ამოიღეს პირველებმა ხმა. მათმა წარმომადგენლებმა პარლამენტში საჯაროდ ამხილეს მაფიების თარეში საქართველოში, რასაც დიდი გამბედაობა უნდოდა (იხილეთ თუნდაც გაზეთი „ერთობა“, 1992 წლის დეკემბერი, №20).

გამომდინარე ყოველივე აქედან, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო კატეგორიულად მოითხოვს თქვენგან საჯაროდ მოიხადოთ ბოდიში თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში პირველივე გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მივმართოთ შესაბამის ორგანოებს, რათა აღიძრას თქვენს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე.

პატივისცემით,

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი ფ.ფერაძე

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ბატონ გურამ მუჩაიძეს

ბატონო გურამ, თქვენი პარტიის პოლიტიკური მდივნის ხელმოწერით ვაქვეყნებ წერილს, რომელსაც თავისი ჰუმანური არსით ჩემზე პირდაპირ დამორგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა...

მხვდებელობაში მაქვს წერილის ფინალი, რომლითაც ადამიანურად, კაცურად მთავაზობთ გამოსავალს, რათა დაპატიჟრებას გადაგურნე. აი, ციტატიც: „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო კატეგორიულად მოითხოვს თქვენგან საჯაროდ მოიხადოთ ბოდიში თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში პირველივე გვერდზე“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემს მიმართ აპირებთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებმა გაუგონარი ცილისმწამებლური მასალის გამოქვეყნებაში „გამომიჭირეთ“, მაინც გადაგძლიათ ჰუმანურობამ და „ვირის აბანოს“ გზას რომ ამაცდინოთ, გამოსავალი თქვენვე მოგიფიქრებიათ — საჯაროდ ბოდიშის მოხდა გაზეთის პირველ გვერდზე.

აი, სწორედ ამდაგვარი ზრუნვის გამოხატულებამ ჩემს მიმართ, ამავსო თქვენდამი მადლიერების გრძნობით!..

წესიერი კაცი ჩემს ადგილზე მართლაც ბოდიშს მოიხდიდა, (საჯაროდ, პირველ გვერდზე) უფრო წესიერი კი თავის ფეხით მიადგებოდა ორთაჭალის ციხეს, მაგრამ ...

ბატონო გურამ, ვინაიდან მ. ღვინიაშვილის წერილის ყველა ფრაზა ზედმიწევნით სწორად მიმაჩნია, ხოლო თქვენი პასუხი სრულ სიცრუედ, ვერც ბოდიშის მოხდითა და ვერც საპყრობილეში გამგზავრებით სიამოვნებას ვერ მოგანიჭებთ.

თუმცა გავითვალისწინებ თქვენს „ჰუმანურობას“ და მ. ღვინიაშვილის სიმართლის დამადასტურებელ დოკუმენტებს თქვენთვის სასარგებლო ისეთი კომენტარებით წარვუდგენ მკითხველს, რომ ვერცერთი გულქვა პროკურორი ვერ იკისრებს თქვენს მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას სიბრალულის გარეშე...

ის კი არა, ეროვნულ ბანკს ისე ავუწუკებ გულს, ვინძლო 400 000 000-ის ნაცვლად, კიდევ 500 000 000 გამოვაყოფინო თქვენი პარტიისათვის, ცხადია თუ უკვე არ დამსწრეს...

მოკითხვამდე, ანუ მომავალ პარასკევამდე.

პატივისცემით

ნოდარ გრიგალაშვილი

განცხადება

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელთათვის

ოთხშაბათს, 12 საათზე „საქართველოს“ რედაქციის ოფისში (თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ.№5) მოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ბატონი თედო სანიძე.

გენერალურ პროკურორს იწვევს სასალხო ფრონტის მმართველი საბჭო და გაზეთის რედაქცია.

პრესკონფერენციაზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ ჟურნალისტებმა და სახალხო ფრონტის წევრებმა.

გთხოვთ თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილვიძებს მიტინგების ქვეყანა...

Sამშაბათს, 29 ივნისს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ბატონმა ირაკლი წერეთელმა ვაკის პარკში მაინც ჩაატარა კარგა ხნის წინათ შეპირებული მიტინგი, რომლის უმთავრესი ლაიტმოტივი იყო სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის გადადგომა და რა თქმა უნდა სედპ-ის ლიდერის ტრადიციული მოთხოვნა საქართველოდან რუსის ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ. არაფერი ახალი ხუთასიოდე დამსწრის წინაშე, რომელთაგან გარკვეული რაოდენობა სიგრილეში სულის მოსათქმელად იყო მოსული, მიტინგის ორატორებს არ უთქვამთ. წერეთელი ისევ წერეთლობდა. თუმცა მის ორატორულ ნიჭში სიახლეც გაკრთა. ზოგი შეეცადა მიტინგისათვის მკვეთრად პროზვიადისტული მიართულება მიეცა, მაგრამ მუდამ დაურიდებელმა წერეთელმა დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოამჟღავნა, ახალი უფროსობა ლანძღა, ძველზე ხმა არ ამოიღო და მით ბევრის კეთილგანწყობა დაიმსახურა. ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომლის შესახებაც ბოროტი ენები ამბობენ, რომ მხოლოდ სახელმწიფო საბჭოში არ შეყვანამ შეანარჩუნებინა პრეზიდენტისადმი ერთგულება, შევარდნაძის გერმანიაში და ბელგიაში ჩატარებულ წარუმატებელ ვიზიტს შეეხო. ბატონ შევარდნაძის მტერ-მოყვარე რუსი ჟურნალისტები კბილებში ძლივს სცრიან სიმწრისაგან, როცა ამ ვიზიტის შესახებ ლაპარაკობენ, ბატონ გიორგის კი საპირისპირო აზრი აქვს. ბატონი გურამ გოგბაიძის მიერ გამოთქმული ერთი ბრალდება სახელმწიფოს მეთაურს პარლამენტშიც ხშირად მოუსმენია კატეგორიულად არ ითხოვს რუსეთის გასვლას და საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანასო. უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ბატონ ალექსანდრე ქობულაშვილის გამოსვლიდან ბევრი ვერაფერი გაიგო იმ ხალხმაც კი, ვინც ნამდვილად მოსასმენად მივიდა. და არცთუ მარტო ცუდი გახმოვანების გამო.თბილისის იანვარ-დეკემბრის ომის დროს ბატონი ალეკო უნივერსიტეტიან გამართულ ერთ მიტინგზე შეცდომით მისულა, იქ მყოფნი თავისიანებად მიუჩნევია და ცუდად მოპყრობიან. ახლა ბატონი ქობულაშვილი თავისიანებში და თავის სტიქიაში იყო. საერთოდ დამსწრეთაგან ნახევარს ეტყობოდა, რომ მიტინგზე რწმენამ მიიყვანა, მეორე ნახევარი კი დღევანდელი ხელისუფლებისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ. ხელისუფლებისადმი კრიტიკა მით უმეტეს ისეთისა, როგორც დღეს ჩვენ გვყავს არამცთუ საჭირო, აუცილებელიც არის, მაგრამ ჯერ ერთი ბოღმას არავისთვის, არც წინა ხელისუფლებისათვის არ მოუტანია სიკეთე, მეორეც უნდა გავითვალისწინოთ ის ობიექტური მიზეზები რაც დღეს მთავრობას ხელს უშლის ქვეყნის მართვაში და ბოლოს საკუთარი შესაძლებლობები. ღმერთმა არ ქნას საქართველო იმ ადამიანების ხელში ვისაც კვირაში შვიდი პარასკევი აქვს და რეალობის ელემენტარულ გრძნობას არის მოკლებული. თუმცა ეს მიტინგი რომ სწორედ ვაკის პარკში ჩატარდა და არა ქუჩაში სასიკეთო გამონაკლისად არ უნდა დარჩეს. ქუჩაში ჩვენი საერთო მტერს — პოზიციისასაც და ოპოზიციისასაც, თავისუფლად შეუძლია რაიმე სისხლიანი პროვოკაციის მოწყობა, რაც ძალიან ძვირი დაუჯდება ორივე მხარეს, საერთო ჯამში კი ერს.



ფოტორეპორტაჟი ჯემალ კასრაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...კართაგენი უნდა დაინგრეს!“

რედაქტორისაგან:

ქვემოთ წარმოდგენილ წერილში ზოგ რამეს და განსაკუთრებით წერილის ფინალში გატარებულ აზრს არ ვეთანხმები, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რატომ გადაუკეტა ოფიციალურმა გაზეთმა გზა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენლებს ბრალდებებზე პასუხის გაცემისა?

წერილის ავტორმა ჩვენს რედაქციას როგორც ბოლო იმედს ისე მოაკითხა.

ცხადია, ამ მასალას ე.წ. ოპოზიციური გაზეთები სიამოვნებით დასტამბავდნენ, მაგრამ იქ მიტანა რატომღაც არ არჩიეს...

მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, ამა თუ იმ აზრის უარსაყოფად მისი მიჩქმალვა ვერაფერი ბედენაა. აზრი აზრით უნდა იქნას უარყოფილი და არა ცენზორის ხელით...

საქართველოს პარლამენტში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის ბატონ ირაკლი წერეთელის ბოლოდროინდელმა გამოსვლამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გესლიანი და გაბოროტებული რეაქცია გამოიწვია სხვადასხვა ჯურის „გაეროვნებულ“ ნაკომუნისტარ მოღვაწეებს შორის. ჩვენთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ შეშფოთებას იწვევს ზოგიერთ გამოხდომებში 9 აპრილის მოვლენისადმი უდიერი დამოკიდებულება, მცდელობა გადაფასებისა ამ დიდი, ისტორიული, გმირული ეპოპეისა საერთოდ.

9 აპრილის მოვლენების შეფასება, მისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის არაერთგვაროვნად განიხილება საზოგადოებაში. ასე, მაგალითად, ამ ბოლო ხანებში „გაეროვნებული“ წითელი ინტელიგენცია დაუინებით ცდილობს 4—9 აპრილის აქციები წარმოადგინოს ეროვნული მოძრაობის საბედისწერო, ტრაგიკულ შეცდომად. ასეა თუ არა სინამდვილეში? ანდა შეიძლება თუ არა ამ მთლიანი, ერთიანი, ჰეროიკული ისტორიული მოვლენიდან ცალკეული ეპიზოდების გამოყოფა და მსჯელობა ვოქვათ იმაზე: აქციის ლიდერების ხალხის დაშლის ან ქაშუეთის ეზოში გადანაცვლებისაკენ რომ მოუწოდებით, ტრაგედიას თავიდან ავიცილებდითო? ჩვენ ფატალურად არ აღვიქვამთ მოვლენებს, მაგრამ ერთი კი უდავოა — იმპერიას უკვე გადწყვეტილი ჰქონდა ქართველი ხალხის სამაგალითო დასჯა, რაც მაშინდელი პოლიტბიუროს სრული შემადგენლობის მიერ იყო სანქცირებული და ამიტომ თანამედროვე კანიბალების მოქნეულ ორლესულ ნიჩბებს ვერარ ავიცილებდით. მით უმეტეს, რომ ქართველ ბოლშევიკია მაშინდელმა ლიდერმა პილატესავით ხელი დიბანა, თანამემამულეთა გვერდში ამოდგომის ნაცვლად თავი მყუდრო, სქელკედლებიან კაბინეტს შეაფარა, ხოლო დანარჩენი ბოლშევიკური ელიტა ცოდვის სასახლის ფართე სარკმლებიდან იუდას თვალებით დასცქეროდა ბრძოლის ველს. აქეთ, ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ვთქვათ, რომ ბევრი მათგანი დღეს საქართველოს პირველი პარლამენტის ტრიბუნიდან გადმოჭყურებს ხალხს და ქვეყანას.

ახლა გავიაზროთ რა მოჰყვებოდა დაშლისაკენ მოწოდებას, თუ კი მას ხალხიც დაუჭერდა მხარს? ეს იქნებოდა ჩვენი კაპიტულაცია ჯერ კიდევ მტრის მხრიდან აქტიურ მოქმედებაზე გადასვლამდე, რაც აადორძინებდა ერთიანი ლიდერის თაგანწირვით უკვე დაძლეულ შიშის სინდრომს და დაასამარებდა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამის შემდეგ, ალბათ, ყოველი რუსული ტანკის დანახვა ჩვენზე ისევე იმოქმედებდა, როგორც კორტესის ცხენოსნების გამოჩენა აცტეკების ლაშქარზე. და თუ 9 აპრილს დალუპული თითოეული ქართველი უზარმაზარი ტკივილია ყველა ჩვენგანისათვის და გამოუსწორებელი ტრაგედია მათი ოჯახებისათვის, მთლიანობაში ეს იყო ერის გამარჯვება, მისი სულის ზეობა.

მსოფლიო გააოცა და გააოგნა იმის დანახვამ, თუ როგორ ხვდებოდნენ ქართველები ანთებული წმინდა სანთლებით, ლოცვით და სიმღერით იმ რკინის ურჩხულებს, რომელთა მუხლებზე შემხმარი იყო ავდანელი, უნგრელი, ჩეხოსლოვაკელი და ალბა-ათელი ქალებისა და ბავშვების სისხლი. საოცარი დასანახი იყო გადატეხილი დროშის ტარით ტანკთან მორკინალი ქართველი ვაჟკაცი. ამიტომ იყო ვიდეოფირზე დაფიქსირებულმა ამ კადრებმა მსოფლიო რომ შემოიარა.

ისტორიაში არნახული იყო ის ამბავი, სისხლიანი კვირის გათენებისთანავე ტანკებით, ბტრ-ებით და რკინის მუზარადებსა და ჯავშანჟილეტებში ჩაჭედილი ჯარისკაცებით გავსებულ, ქალაქში თავზე შავარშიაშემოვლებული ბოგობიჭები შავი ბაირაღებით ხელში რომ დაქრდნენ ქუჩებში, იმის მაგიერ ტყე-ღრეს შეეფარებინათ თავი, ან აკანკალებულნი სარდაფებში ჩამჯრალიყვნენ, როგორც ამას ალბათ მოელოდა მტერი მათგან.

არა და მსოფლიომაც ხომ იცოდა და ჩვენც კარგად ვიცოდით. 1956 წლის 9 მარტის გამოცდილებით, რა დაუნდობელ მტერთან გვქონდა საქმე. მაგრამ თუ 9 მარტის სისხლიან კვირას შიშისა და დათრგუნვილობის გამეფება მოჰყვა, 9 აპრილმა შიშის სინდრომი მოუხსნა ქართველ ხალხს და არა მარტო ქართველ ხალხს. სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ 9 აპრილის მოვლენების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას. ეს რომ არ არის ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ ქართული გაზვიადება კარგად ჩანს ამ ამბების შემდეგ მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში დატრიალებული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირში.

მართლაც, გავიხსენოთ სულ რადაც ერთ თვეში გამართული სსრკ-ს სახალხო დეპუტატთა I ყრილობა, რომელიც კრემლის სცენარის თანახმად უნდა გამხდარიყო გორბაჩოვისა და მისი პოლიტიკის ტრიუმფი. ალბათ ასეც იქნებოდა, ყრილობა დაიწყებოდა და დამთავრდებოდა ისეთივე ტაშის გრიალში, როგორც ბრეჟნევისეული პარტიული ყრილობები. სინამდვილეში კი ყრილობა დაიწყო და დამთავრდა 9 აპრილის ეგიდით, სადღაც გაჭრა შიშისა და მოწიწების გრძნობა თვით პოლიტბიუროსა მისი ბელადის წინაშეც. მოდით, ნუ დავაბრალებთ ამას გორბაჩოვის ან მისი გარემოცვის გადემოკრატებას, მათი დემოკრატიულობა კარგად გამოჩნდა მანამდე ალმა-ათაში და თბილისში ჩატარებული სადამსჯელო აქციებში, ან გინდაც ელცინის „დაშუაეების“ და განქიქების დროს.

გავიხსენოთ ბერლინის კედლის დანგრევა 1989 წლის ნოემბერში, იმ კედლისა, რომელთან ახლოს მისვლაც მანამდე არა ერთ და ორ გერმანელს დაუჯდა სიცოცხლის ფასად. შიშის სინდრომისგან გათავისუფლებული ე.წ. გდრ-ის ახალგაზრდობა შიშველი ხელებით მიადგა კედლის კბილებამდე შეიარაღებულ დამცველებს.

გავიხსენოთ ჩინეთის დედაქალაქში სტუდენტების მასობრივი გამოსვლები, რომელიც ითქოს თბილისური სცენარის მიხედვით იყო დადგმული, ოღონდაც შესაბამისად უფრო დიდ მასშტაბებში. ან რუმინეთში ჩაუშესკუს სისხლიანი რეჟიმის დამხობისას უიარაღო ხალხი როგორ არ შეუშინდა კალაშნიკოვის ავტომატებს პუტჩის დროს, ის ხალხი, რომელიც სულ ორიოდე წლის წინ ერთი მილიციელის სასტვენის ხმაზეც კი გაიფანტებოდა, შიშველი ხელებით როგორ წინ აღუდგნენ რკინის მანქანებს.

ამდენად 9 აპრილის მოვლენების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჩვენ გვესახება იმაში, რომ მან მძლავრი დარტყმა მიაყენა ე.წ. მსოფლიო სოციალისტურ სისტემას, კაცობრიობის ისტორიაში ამ ყველაზე უფრო შავბნელ უბორტეს წარმონაქმნს.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ეს დიდი ეროვნული გამარჯვება, როგორც ჩვენ მივიწნევთ 9 აპრილის მოვლენებს, მუხედავად ასეთი მძიმე მსხვერპლისა, ხელიდან გამოგეცალა შემდგომ, როდესაც იმპერიის სპეცსამსახურებმა მოახერხეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადაგვარება ხელისუფლებისათვის ბრძოლად, შეძლეს ეროვნული ძალების კომპრომეტირება კრიმინალურ და კოლაბორაციონისტურ პიროვნებათა ეროვნულ ლიდერებად წარმოჩენებით. დაგვირგვინება ამ პროცესებისა კი იყო დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენები, რომელთა პოლიტიკური შეფასება ალბათ ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მაგრამ თუ ამ მოვლენების ხილულ, ფაქტობრივ მხარეზე ვამსჯელებთ, იგი [illegible] ა თქმა უნდა სამხედრო გადატრიალება იყო, ხოლო თუ მისი დღევანდელი შედეგით ვამსჯელებთ და გ[illegible] ითვალისწინებთ იმ პიროვნებების [illegible]რაობას, [illegible]ესაც ხელთ ეპყრათ ფა[illegible]ი ბერკეტები და წარმართავდნენ [illegible]ვლენებს უშუალოდ იმპერიის ც[illegible]ერიდან, [illegible] შეგვიძლია ვამტკიცო[illegible], რომ ეს იყო ბოლშევიკური გად[illegible]ერიალება. ე.ი. საერთო ჯამში მივ[illegible]ეთ სამხედრობოლშევიკური გადა[illegible]ერიალება, [illegible]ოძელსაც მოჰყვა კომუ[illegible]ისტური მმართველობის ფაქტობრივ[illegible] რესტავრაცია საქართველოში. რა[illegible] ღირს თუ[illegible]დაც ის ფაქტი, რომ [illegible]992 წლის 11 ოქტომბერს საქართ[illegible]ელოს პირველ პარლამენტში არჩეუ[illegible] იქნენ საქ[illegible]სრკ კპ ცკ-ის სამი ყოფილი პირველი მდივანი, რამოდენიმე ცკ-ს ბიუროს წევრი, 60-ზდე რაიკომის მდივანი. რამოდენიმე ათეული პიროვნ[illegible]ა ის „აქტივიდანაც“ გახლავთ, რომელმაც 1989 წლის 8 აპრილს ოვაციები გაუმართა გენერლებს როდიონოვს[illegible] და კოჩეტოვს და სანქცია მისცა რუსული სამხედრო ძალის გამოყენებას ქართველი ახალგაზრდობის წინააღმდეგ. თუ ამ ძლიერ ბოლშევიკურ ბირთვს, რომელიც ყოფილი კომუნისტური ელიტისგან შედგება, დავუმატებთ რიგით კომუნისტებსაც, რომლებიც ასევე უხვადაა წარმოდგენილი დღევანდელ პარლამენტში, მივიღებთ იმ საპარლამენტო უმრავ-

გაგრძელება მე—4 გვ.

განამებულ-გამწარებული ხალხის აქცია

უკვე რამოდენიმე დღეა წერეთლის გამზირზე დამთავრების სტადიაში მყოფ საცხოვრებელ ბინასთან-სპროტესტო აქციას აწყობს ცხინვალიდან ლტოლვილ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი, მოთხოვნით: რაკიღა არ ხერხდება მშობლიურ მხარეში დაბრუნება, შეუქმნან ცხოვრების ნორმალური პირობები, გამოუყონ საცხოვრებელი ბინები.

ვისაც ნებისმიერ სასტუმროში ერთი ღამე მაინც გუთენებია, ის მიხვდება, თუ რა პირობებში უხდებათ ლტოლვილებს ცხოვრება, უფრო სწორად არსებობა. ზოოპარკში მხეცებს უფრო მეტი ფართობი აქვთ, ვიდრე მათ სასტუმროებში, ტურბაზებში და კემპინგებში. ერთადგილიან ნომერში ხშირად ორი, სამი და არცთუ იშვიათად ოთხი ადამიანიც არის შესახლებული და ეს გრძელდება წლების მანძილზე.

ცუდ საბინაო პირობებს, გამუდმებულ ნერვიულ სტრესებს თითქმის ყოველკვირა მიაქვს ადამიანების სიცოცხლე. გახშირდა უეცრად, ერთი შეხედვით საღისალამათი ადამიანების გარდაცვალების შემთხვევები. მარტო გასულ კვირას სასტუმროებიდან „აფხაზეთი“, „კოლხეთი“ და ტურბაზა „ვაკედან“ სამი ადამიანი დაკრძალეს სამადლოდ გამოყოფილ საფლავებში.

არასრულწლოვანებს აშკარად ეტყობათ გადატანილი ტარგედიის კვალი. მოზარდებში აშკარად სჩანს გზას საბოლოოდ აცდენის ტენდენცია. თუ ამ ხალხს ოდესმე ცხინვალში დაბრუნება ეღირსა, თბილისელთა „ფირმენნი ავადმყოფობა“ ნარკომანია ადრინდელივით ყურმოკვრით არ ეცოდინებათ. მით უმეტეს, რომ დღეს სრულიად საქართველო სწორედ ცხინვალიდან მარაგდება ნარკოტიკული ნივთიერებებით.

ერთი სიტყვით საბინაო პირობები უკიდურესად მძიმეა და მაინც ამ აქციისადმი დამოკიდებულება თვით ლტოლვილებშიც არაერთგვაროვანია. ერთნი, მხარს უჭერენ მას, უმრავლესობა კი მაინც დუმილით ელის, რომ ოდესმე მაინც შესძლებს მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას. ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი იმათგანი, ვინც თხოულობს საბინაო პირობების გაუმჯობესებას და ვიმეორებთ სრულიად სამართლიანად, ნებისმიერ მომენტში დაადგება გზას ცხინვალისაკენ, ოღონდ კი იყოს ამის საშუალება.

მაგრამ ამ თავისთავად სამართლიანმა და საჭირო აქციამ შეიძლება სულ სხვაგვარი გაგრძელება მიიღოს. კერძოდ, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნა წითელმა პროპაგანდისტულმა მანქანამ შეიძლება ისე წარმოაჩინოს ხალხის თვალში თითქოს მთლიანად ცხინვალელებს აღარ სურთ უკან დაბრუნება. ასეთი ბრალდება არა ერთხელ გაისმა პრესის ფურცლებიდან. შემდეგ ლტოლვილებს რამოდენიმე საერთო ბინაში განათავსებენ და ამით ორ კურდღელს დაიჭერენ — თავიდან მოიხსნიან მათზე ზრუნვას, რაც სულ უფრო ძნელდება და საბოლოოდ თუ არა დიდი ხნით მაინც მიაჩუმათებენ ცხინვალის რეგიონის პრობლემას. რომ ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ არის ამაზე რამოდენიმე ფაქტი მეტყველებს. ჯერ ერთი აფხაზეთმა ცხინვალის რეგიონის პრობლემის გადაჭრა ძალზედ შორს გადასწია. მეორე, რუსეთის ხელისუფლების განცხადება, რომ ოსები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ავტონომიით და თანაც რესპუბლიკის დონისა, რაზეც არც ერთი იქ მცხოვრები ქართველი თანხმობას არ განაცხადებს. მოვლენების ასე გავნითარების რეალურობისაკენ მიგვითითებს ისიც, რომ სწორედ ამ დღეებში დაიწყო ლტოლვილთა უმკაცრესი აღრიცხვა, რის საშუალებითაც უნდა დაადგინოთ თუ ვის ეკუთვნის მართლა ეს სტატუსი და ვინ შესაბამისი ორგანოების დოყლაპიობით ამ ხნის მანძილზე მუქთად სჭამდა გაძვალტყავებული სახელმწიფოს ქონებას. სიტყვამ მოიტანა და ცხინვალში მყოფი ოსების საკმაო ნაწილიც მშვენივრად სარგებლობდა ამ მოწმობებით. თუ რა მანქანებით მიიღეს, ეს ერთმა ღმერთმა და ამ დოკუმენტების გამცემებმა იციან. ამ მოწმობებთან დაკავშირებით კიდევ შეიძლება ბევრი რამის თქმა. როდესაც ისინი პირველად გასცეს, შავით ცისფერზე ეწერა „დროებით გადაადგილებული“. მაშინ ამან პროტესტი გამოიწვია ცხინვალელებს შორის და საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ვალერი ვაშაკიძეს ტელევიზიით ახსნა-განმარტების მიცემაც მოუწია— ლტოლვილია ის, ვინც ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადავიდაო. ე.ი. მაშინდელა გაგებით ლტოლვილები იყვნენ ცხინვალიდან ვლადიკავკაზში გადასული ოსები, ხოლო თბილისში ჩამოსული ქართველები ასეთებად არ ჩაითვლებოდნენ. გამოხდა ხანი. გასული წლის ბოლოს მოწმობები შეიცვალა და ახლა უკვე თეთრზე შავით წერია „ლტოლვილის მოწმობა №...“ ახლა ამ ადამიანობის, კაცობის, ნებისყოფის დამთრგუნველ საბუთს ისინი მესამედ მიიღებენ და მასზე კვლავ „დროებით გადაადგილებული“ წერია, როდემდე, ღმერთმა იცის.

მერაბ მაისურაძე

საქართველო — ყოველკვირეული გაზეთი

„...კართაგენი უნდა დაინგრეს!“

დასასრული

ლესობას (თუმცა ოფიციალურად გაუფორმებელს, მაგრამ რეალურად არსებულს), რომელსაც წარმატებით ეყრდნობა პარლამენტის თავმჯდომარე, ყოფილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი შევარდნაძე. ისე რომ, თუ მოხდება პარლამენტში საპარლამენტო უმრავლესობის ოფიციალური გაფორმება, ეს იქნება ფრაქცია „ქართველი ბოლშევიკი“, თუმცა რა თქმა უნდა სხვა სახელწოდებით.

რატომ აღვნიშნავთ ჩვენ ასე ხაზგასმით საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის კომუნისტურ წარსულს? იმიტომ, რომ კომუნისტური პარტია იყო და რჩება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ბორიტ, ყველაზე დანაშაულებრივ ორგანიზაციად, რომლის სინდისზეა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისათვის რეპრესიების გზით მოსპობილი 100 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. მაგრამ დამნაშავე ორგანიზაცია შედგება დამნაშავე პიროვნებებისაგან და რაც უფრო იერარქიის მაღალ საფეხურზე დგას პიროვნება ამ ორგანიზაციაში, მით მეტი დანაშაულია მის სინდისზე. დანაშაული იყო ასეთ ორგანიზაციაში თუნდაც რიგითი წევრის სტატუსით ყოფნა, რადგან ასეთ რიგითი წევრების სიმრავლით იყო განპირობებული ამ ორგანიზაციის სიძლიერე. განსაკუთრებით დიდი დანაშაული იყო ამ ორგანიზაციის წევრობა ქართველი კაცის მხრიდან, რადგანაც კომუნისტური პარტია ყოველთვის იყო საქართველოს და ქართველი ერის უბოროტესი მტერი მთელი მისი ისტორიის მანძილზე. კომუნისტური პარტიის საქართველოში „მოღვაწეობას“ შეეწირა ერთ მილიონზე მეტი ქართველის სიცოცხლე. ქართული გენის ყველაზე საუკეთესო ნაწილი, რითაც საფრთხე შეექმნა თვით ქართველი ერის არსებობას, ამის გენოფონდს.

ამიტომაც, საქართველოში კომუნისტური პარტია გამოცხადდა დანაშაულებრივ ორგანიზაციად და აიკრძალა. დღეს კი გამოდის, რომ მხოლოდ სიტყვა, ტერმინი, დასახელება „კომუნისტური“ პარტია არის აკრძალული, რადგანაც მისმა მოღვაწეებმა ინდულგენციები მისცეს საკუთარ თავს. ის კი არა, საერთოდაც აგვიკრძალეს თავიანთი კომუნისტური წარსულის გახსენება, კომპარტიის მთელი დანაშაული ლენინსა და სტალინს აჰკიდეს, ხოლო თვითონ შეუცვლელ, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად წარმოგვიდგნენ, რომელთა „ბრძნული“ ხელმძღვანელობის გარეშეც საქართველოს დაღუპვა ელის. როგორ არ გავიხსენოთ მწარალთა უკანასკნელ ყრილობაზე მწარე ირონიით ნათქვამი: რავა სულ ერთი და იგივე ხალხისთვის გაისროლეს ავორრამაც, როდიონოვაც და კიტოვანმაც!

ამ მოღვაწეთა, ამ „პროფესიონალთა“ ცინიზმი იქამდეც კი მივიდა, რომ ის ხალხი, ვინც სულ ორიოდე წლის წინ თავიანთი სიფილისანი ბელადის დაუმარხავი, გახრწნილი გვამის სარკოფაგს კოცნიდა და ერთგულების ფიცით მავზოლეუმის კიბეებს ურახუნებდა თავს, ვინც შობა-აღდგომის დღესასწაულებზეც კი წმინდა ტაძრებისკენ მიმავალ ხალხს ანტიქრისტესავით წინ ეღობებოდა, დღეს ქრისტიანული მორალით გამოძღვრავს, წმინდა სანთლებით ხელში წმინდა ხატებთან მდგარი ვითომდა ლოცვის სიტყვებს ბუტბუტებს, გულში კი ალბათ ისევ ლენინისა და სტალინის ციტატებს იმეორებს.

ჭეშმარიტად სასწაულია, დიდება შენდა ღმერთო, სავლეების ასეთი მასიური მოქცევა პავლეებად.

ყველაზე საკვალალო ის არის, რომ არავითარი მოქცევა არ მოხდარა, ამ ხალხს ისევე არ სწამს ქრისტესი, როგორც არ სწამდათ მარქსისა და ლენინის, კომპარტიაშიც მხოლოდ მდაბალი ინსტიქტების კარნახით შედიოდნენ, რათა თავზე გადახტომოდნენ, ეკობნათ, დაეგრეხათ, დაეწიხლათ თავიანთი უფრო ნიჭიერი, უნარიანი, სინდის-ნაზუსიანი თანამოძმენი, რომელთაც უარი თქვეს იუდას მეთოდებით ცხოვრებაზე და კარიერის გაკეთებაზე. დიახ, ვინ მოსთვლის, რამდენი უნიჭიერესი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ფილოლოგი, ინჟინერი ვერ გახდა პროფესორი, აკადემიკოსი, მინისტრი თუ დირექტორი იმიტომ, რომ ჯიბეში არ ედო „მაგიური“ წითელი მანდატი.

დღეს ეს ნაკომუნისტარი „პროფესიონალები“, რომელთაც თავიანთი მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში იმით ამოწურეს, რომ ორიოდე დღით კიბეებზე იყვნენ ჩამომსხდარი, ვითომდა გამსახურდიას ავტორიტარული მმართველობისადმი პროტესტის ნიშნად, სინამდვილეში კი მათი გულისტკივილის მიზეზი კომპარტიის აკრძალვა და უზენაესი საბჭოდან კომუნისტი დეპუტატების გამოძევება გახლდათ, ცდილობენ ეჭვის ქვეშ დააყენონ 9 აპრილის მნიშვნელობა და წარმოაჩინონ იგი ეროვნული მოძრაობის დანაშაულად. საწყენაა, რომ 1993 წლის 5 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ რეკვიემ ჯაფარიძე 9 აპრილის სისხლისღვრაში ადანაშაულებს არა გორბაჩოვს, შევარდნაძეს, პატიაშვილს, გუმბარიძეს, როდიონოვს, კოჩეტოვს და საბჭოთა იმპერიალიზმს მთლიანად, არამედ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს ირაკლი წერეთელს.

პირდაპირ „კეთილშობილების“ ნიმუშია ბატონ სიდამონ წერეთლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის გახსენება. რატომ ის არ იფიქრეთ, რომ იქნებ შეეშინდა მაშინ, 1988 წელს ბატონ სიდამონს სიმართლის დაწერა, თორემ იტყოდა — ჩემი შვილი, ეს-ესაა გამოუშვეს ციხიდან, სადაც ერთი პროკლამაციის გულისათვის ჩაასმევინაო ამხანაგმა შევარდნაძემ, თანაც ინსტიტუტიდანაც „მგლის ბილეთით“ გაარიცხვინაო; და რომ რუსეთისა, თუ საქართველოს ციხეებში ნატანჯი ეს ამოდენა კაცი ბოლოს სულ 45კგ-ს იწონიდა და თანამოსაკნეებს ზურგზე მოკიდებული გადაჰყავდათ ადგილიდან ადგილამდე; და რომ ისეთი ფსიქიკური და ფიზიკური წნეხის ქვეშ ამყოფებდნენ 25 წლის ახალგაზრდას, ლამის საშედამოდ შეურყიეს ჯანმრთელობაო. ყოველივე ამის გამო თუნდაც მორალური პასუხისმგებლობის გაზიარების ნაცვლად, თქვენ და სხვანიც გაიძახოდით: არიქა, ცნობა, ცნობა მოვთხოვოთ ირაკლი წერეთელსო. ძველი მეთოდია.

დასავლეთის ფსიქიატრებმა, თურმე, სადამ ჰუსეინის გამოსვლების ვიდეოჩანაწერების გაანალიზებით დადგინეს მის ფსიქიკაში სხვადასხვა გადახრების არსებობა. ჰოდა, იქნებ თქვენც აიღოთ, მაგალითად, 1990 წელს ირაკლი წერეთლის ინიციატივით ჩატარებული სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის ვიდეომასალა. მაშინ ყრილობაზე თავი მოიყარა 6 ათასზე მეტმა დელეგატმა, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ საქართველოს ყველა რაიონიდან, ყველა მეტნაკლებად სოლიდური დაწესებულებიდან, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, და რომლებიც სრულიადაც არ შეადგენდნენ ირაკლი წერეთლის მომხრეებს მხოლოდ. ნახეთ, როგორ დიდებულად მიყავდა თქვენს მიერ ლამის შეურაცხადად გამოცხადებულ პიროვნებას ყრილობის პირველი დღე. მოუსმინეთ და გაანალიზეთ მისი ბრწყინვალე, ორატორული ხელოვნების მაღალი ნიმუშის დონეზე, ყოველგვარი „შარგალკის“ გარეშე წარმოთქმული ვრცელი სიტყვა. ნახეთ ვიდეომასალა ეროვნული მოძრაობის პარტიათა და ორგანიზაციათა I და II საგანგებო კონფერენციებისა, გამოსვლები სხვადასხვა მიტინგებზე 1988 წლიდან მოყოლებული. ბოლოს პარლამენტში გაკეთებული ვრცელი მოხსენება 1992 წლის 6 დეკემბერს. აჩვენეთ ეს ნებისმიერი რანგის ფსიქიატრებს, ფსიქოლოგებს, პოლიტოლოგებს, გნებავთ უცხოელ ექსპერტებსაც.

არ ღირს ცალ-ცალკე ჩამოთვლა იმ ნაკომუნისტარი დეპუტატებისა თუ თანამდებობის პირებისა, რომლებიც მზად არიან მატროსოვისებურად აეფარონ წინ თავიანთ ბელადს, საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსს, რომლის თითქმის წლინახევრიანმა მმართველობამ საქართველოში კატასტროფული შედეგები გამოიღო: დაღუპულია ათასობით ადამიანი, დანგრეულია ათასობით სახლი, ასეულ-ათასობით ადამიანი ლტოლვილადაა ქცეული საკუთარ ქვეყანაში, ეკონომიკა მოშლილია მთლიანად და ხალხი შიმშილობს. საქართველოდან ფაქტობრივად მოწყვეტილია ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთის დიდი ნაწილი. ხელისუფლება ვერ აკონტროლებს საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს.

მსოფლიო ისტორიამ იცის მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოში მიმდინარე იმ მასშტაბის ყველა უბედურებაში, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ არავითარი ბრალი არ მიუძღვის ხელისუფლებას — ეს გახლავთ საქართველოს დღევანდელი მთავრობა და სახელმწიფოს მეთაური. აქ მარტივი ლოგიკაა ჩადებული: პოლიტიკოსის რანგი მისი პოლიტიკური წარმატებების პირდაპირპროპორციულია, ხოლო პოლიტიკური შეცდომების უკუპროპორციული. დიდ პოლიტიკოსს არ შეიძლება მოუვიდეს დიდი პოლიტიკური შეცდომა. ის შეიძლება მხოლოდ მცირეოდენი კაზუსი დაუშვას. მაგრამ რადგანაც დასავლეთის სამყარომ ჩვენი სახელმწიფოს მეთაური დიდ პოლიტიკოსად აღიარა, მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი აპრიორი უშეცდომოდ ითვლება, ხოლო როგორი სურათი გვაქვს აპოსტერიორი, ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა ზოგადად, ქვემოთ კი შეეცდებით ზოგიერთი ფაქტი დავაკონკრეტოთ.

როგორ მოხდა მაგალითად, რომ „დიდ პოლიტიკოსს“ შეეშალა და როდესაც რკინიგზებზე ტვირთების დაცვის უსუსური საბაბით ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები გაგზავნა აფხაზეთს, არძინბასთან ერთი წერილობითი შეთანხმება არ გააფორმა ამის იაბაზე? მით უმეტეს, რომ არძინბას ორპირობა და მოსკოვთან ალიანსი შესანიშნავად იყო ცნობილი. ასევე ცნობილი იყო, რომ მას უკვე ჰყავდა მხოლოდ აფსუებით დაკომპლექტებული და კარგად შეიარაღებული გვარდია, რომელმაც მანამდე ერთხელ უკვე არ გადაუშვა ქართული ჯარი აფხაზეთში. განა პოლიტიკური სიბეცე არ იყო იმის წინასწარ ვერ განჭვრეტა, რომ ერთი ხელისგულის ოდენა ტერიტორიაზე ორი სამხედრო ფორმირება ადრე თუ გვიან შეეჯახებოდა ერთმანეთს? განა არ უნდა ვყოფილიყავით მზად იმისათვის, რომ ასეთ სიტუაციაში ელვისებური ოპერაციებით მოგვეხდინა აფსუათა უკანონო ფორმირებების განიარაღება და საზღვრები საიმედოდ ჩაგვეკეტა? ეს იყო სერიოზული პოლიტიკური შეცდომა, რაც ეროვნულ ტრაგედიაში გადაიზარდა.

შემდეგ, ფაქტია, რომ რუსეთს განზრახული ჰქონდა საქართველოს დასჯა, როგორც ურჩი ქვეყნისა, რომელიც გარკვეულად უპირისპირდებოდა რუსეთის ინტერესებს. მაგრამ საჭირო იყო ისეთი მიზეზის შექმნა, რაც ჩვენ დამნაშავედ გამოგვაჩენდა. სწორედ ასეთი მიზეზი მივართვით



მას ჩვენივე ხელით მსოფლიოში ფართოდ რეკლამირებული აქტის სახით: „სუვერენული“ აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ჯარების შეჭრა. ამ ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, დასწყისში, რუსეთმა შესძლო თავისთვის შეეჭრა დაჩაგრული მცირე ერების ქომაგის იმიჯი.

ისტორიაში არნახული პრეცედენტია: ორი მეომარი ქვეყანა, ომის ფაქტობრივი ესკალაციის პირობებში, ერთმანეთთან აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებას. ყოველსმომცველ ხელშეკრულებათა პაკეტის შედგენაზე, რომლის ძალითაც თითქოსდა უნდა დაიწყოს თანამშრომლობა პოლიტიკის, სამხედრო, ეკონომიკის, კულტურის სფეროში, თანაც პირდაპირ, საომარი მდგომარეობიდან ყოველგვარი საშუალედო ეტაპების გავლის გარეშე. არადა მსოფლიო ისტორიის გამოცდილებით, ნებისმიერ ლოგიკაზე დაყრდნობით მეომარ ქვეყნებს შორის ჯერ უნდა დაიწყოს საზავო მოლაპარაკება, დაიდოს ზავი, გაყვანილი იქნას საოკუპაციო ჯარი, აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა (რომელიც პირიქით გაცხარებული ომის დროს დავამყარეთ და ელჩებიც გავცვალეთ), აგრესორმა მხარემ დახმარება გაუწიოს დაზარალებულ მხარეს ლტოლვილთა დასაბრუნებლად და ნგრევით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. გარკვეული დროის მონაკვეთის გავლის შემდეგ კი, თუ გამოჩნდება, რომ კონფლიქტი ამოწურულია და შესაძლებელია კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, უნდა დაიწყოს ეკონომიკური, სავაჭრო, მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობა, რომელიც დაგვირგვინდება პოლიტიკური ხელშეკრულებით.

ნუთუ უჭირს დიდ პოლიტიკოსს იმის განჭვრეტა, რომ იმ პირობებში, როდესაც ჩრდილოეთის დათვი თავისი ძლიერი ტორებით ყელში გვყავს ჩაფრენილი, თუ ზემოხსენებული ეტაპების გავლის გარეშე მოვაწერთ ხელს რაიმე ხელშეკრულებას რუსეთთან, იმუშავებს მხოლოდ ხელშეკრულების ის ნაწილი, რაც საქართველოს ინტერესებშია. სამაგიეროდ უზარმაზარ კოზირს ჩაუგდებთ რუსეთს ხელში ჩვენს საწინააღმდეგოდ — იგი იმოქმედებს საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. ამით დავკარგავთ იმ დიდ უპირატესობას, რომ საქართველოში რუსეთის სამხედრო თუ პოლიტიკურ ყოფნას არ გააჩნია არავითარი იურიდიული საფუძველი.

ამბობენ, თურმე, რომაელი პოლიტიკური მოღვაწე მარკუს პორციუს კატონ — უფროსი თავის ყველა გამოსვლას რომის სენატში ასე ამთავრებდა — „და მაინც მე ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს!“ ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ირაკლი წერეთელი თავის ყველა გამოსვლას საქართველოს პარლამენტში ასე ამთავრებს — „საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი უნდა გავიდეს!“.

ამინ, გისმინოს ღმერთმა ბატონო ირაკლი!

P.S. უკანასკნელ ხანს, როდესაც გამოიკვეთა დღევანდელი ნეობოლშევიკური ხელისუფლების დამღუპველი კურსი ჩვენი ერისა და ქვეყნისთვის, ირაკლი წერეთელი ზემოხსენებულ სიტყვებს ერთ ფრაზასაც უმატებს — „ედუარდ შევარდნაძე უნდა გადადგეს“.

ესეც კაი ყურით ესმინოს უფალს, ბატონო ირაკლი.

ამინ!

თემურ რუხაძე

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი

გათიშულობის წინააღმდეგ

ჯანსუღ ღვინჯილია

უსფუძვლო ცილისწამებისა და უკიდურესი შეურაცხყოფისათვის ღღეს არავინ ისჯება. ამიტომ ჩვენში ძალიან ადვილი ეჩვენებათ ადამიანის კომპრომეტირება. იბეჭდება ყველაფერი, რაც იწერება და იწერება ყველაფერი, რაც გაბოროტებულ პიროვნებებს მოაფიქრდებათ. მე შენ გეტყვი და ციკილიზებული ქვეყნების მსგავსად კანონი უმალ აღკვეთს ცილისწამებისა და შეურაცხყოფის რეციდივებს დიდი ჯარიმის გადახდევინებით. ამ საერთო მდგომარეობით შესანიშნავად სარგებლობს „რაღაცის გამო“ გაბოროტებული როსტომ ჩხეიძე და წერს, რაც მოესურვება.

ეს ერთის მხრივ.

მეორეს მხრივ: თავს არავის ვაცოდებ, მაგრამ მე ხუთი წლის განმავლობაში ვებრძოდი სიკვდილს (1985-89 წ.). ამიტომ არ ვეკამათებოდი იმ წლებში ყოველი მხრიდან მოსულ, მაფიის მიერ წაქეზებულ ოპონენტებს (რა იყო და როგორ, შეჭირვებულ ქვეყანაში, ამაზე ლაპარაკი არ იქნება სწორი!). ეს კია, ჩემმა მაშინდელმა დუმილმა ზოგს და მათ შორის როსტომ ჩხეიძესაც, ეტყობა, აფიქრებინა, ეს კაცი ადვილი ხელწამოსაკრავი უნდა იყოსო... და როსტომ ჩხეიძეც წერს, რაც მოეგონებება.

ნუ ექნება როსტომ ჩხეიძეს იმედი, რაკი საქართველოში კაცის ღანძღვა გროში ღირს, ჩემსკენ ტალახის გამოსროლაც ჯაპტიო.

მე მეგონა, ვეკამათებოდი ნამდვილ ლიტერატორს და ზრდილობიან კაცს, ვინაც საკამათო საგნის უცოდინარობის გამო უხეში შეცდომები დაუშვა. არც ერთი აღშოწნდა, არც მეორე. ახლა უკვე იმაშიც დარწმუნებული ვარ, საკაძეზე მთელი ეს საუბარი იმიტომ წამოიწყო, იცოდა, გაეპასუხებოდი და საშუალება მიეცემოდა, ბოლმა ამოერეცხა.

მე ყველა შემთხვევაში პასუხი უნდა გამეცა.

როსტომ ჩხეიძე წონასწორობადაკარგულია. წონასწორობა დაკარგვინა წინააღმდეგობამ, რომელსაც გადაწყდა.

-იგი ნაფერები კაცია ლიტერატურაში. რაკი ცნობილი მწერლის შვილი გახლდათ, თავზე ხელის სმით შემოიყვანეს ასპარეზზე. ყველგან მწვანე გზა გაეხსნა — უნივერსიტეტში, ლიტერატურის ინსტიტუტში, ჟურნალ-გაზეთებშიც. ნიჭიც აქვს და განათლებაც მცირეოდენი, მაგრამ ერთიც და მეორეც ძალზე დიდი მოეჩვენა ამდენ ფერებში და დაიკერა! შრომა არ ეზარება, მაგრამ ყველაფერს მოედო...ეტყობა.კიტაცა ყოვლმცოდნეობის მანამ და, რაც მთავარია, დაიკერა! დაიკერა და ყოველი შენიშვნა მისი მისამართით გამოთქმული წონასწორობას აკარგვინებს, ყოველ ზღვარს გადადის. პრინციპული შენიშვნა შეურაცხყოფად ეჩვენება, ნორმალური კამათი — აუტანელ მოვლენად. განებივრებული ბავშვის ისტერიული ნერვიულობით კაპასობს, არ ფიქრობს, რას წერს, ვის ელაპარაკება. არც უფროსი იცის, არც უმცროსი.

არადა, მთლად ბავშვიც აღარ არის. მისი ასაკის კაცს მეტი მოეკითხება. ყოველ შემთხვევაში, ყოველივე იმის შემდეგ რაც იკადრა, მე რომ მოკითხავ, ფაქტია.

თავს ნერავინ ჩაიგდებს სასაცილო მდგომარეობაში, ნურვის ჭკონია, ამ ქვეყანაზე ცხოვრების გზა პატიოსნად მარტო მე და ჩემი ოჯახის წევრებმა განვლეთო.

მკითხველმა არ მინდა იფიქროს, როსტომ ჩხეიძისაგან გამოსროლილი ფურთხის ჩამოშშენდას ვცდილობდე. მე ეგ ფურთხი არ მომეკრობა, არც ტალახი, არც ლაფი, არ დაშმასურებია და იმიტომ.

უბრალოდ, რაკი როსტომ ჩხეიძე აქამდე გათავზედდა, რაკი ასეთი თავგამოდებით ცდილობს ჩემი სახელის გატეხვას, უნდა ვამხილო, იქნებ თავის თავზე წარმოდგენები ცოტა შეეცვალოს, განებივრებული ბავშვის ეინიანობამ გაუარის.

და ცოტა მოკრძალებულიც გახდეს.

მე შევნიშნე, ვიცი როგორც ვიცხოვრე და შეცდომა არ დაუშვა-მეთქი. გიხარა. გამომიწვია და საშუალება მეძლევა, „დავახასიათო“ მისი პიროვნებაო!!!

აქაც მოტყუვდა. მოტყუვდა, რადგან ღანძღვის ხერვილი აღრჩობს და იმაზე კი ნაკლებს ფიქრობს, არგუმენტები ხელთ მოყვება თუ არა.

არ მიკვირს. მე ვინ ვარ. თვითონ გიორგი საკაძეც ადვილი გადასაგდები ეჩვენა, რაკი მისი სიძულვილით ჰკონდა გული სავსე, ხოლო მეთოდი, მეთოდი ბრმა მოძულეს შესაფერი აქვს არჩეული: ამოქექოს მისთვის ხელსაყრელი ნაწყვეტები ცნობებიდან და მათზე დაყრდნობით ვაკეთოს სასურველი დასკვნები.

ფაქტებს, ისტორიულ მოვლენებს, არგუმენტებს, წყაროებს, რაც გიორგი საკაძესთან არის დაკავშირებული, ცხადია, ვერაფერი დაკლო. ამიტომ არჩია „ზოგადი“ მსჯელობა, უარგუმენტო მტკიცება. დიდი მწერლებისა და მეცნიერების სახელები ჩამოამწკრივა, ვითომცდა, აი, რა ხალხი აძაგებს გიორგი საკაძეს, ჯანსუღ ღვინჯილია რაღას უშვლისო. ტყუის, როსტომ ჩხეიძის მიერ ჩამოთვლილი მწერლებისა და მეცნიერების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს გიორგი საკაძის განუზომელ დამსახურებას!

არაფერი გამოუვა ოპონენტს. ამ ოთხი საუკუნის განმავლობაში გიორგი საკაძეს, ამ გიგანტს, იმდენი ტალღა მეამსხვრა, ძნელია როსტომ ჩხეიძემ დაკლოს რამე. მაქებარი მწერლებიც, მეცნიერებიც, მემატიანენიც, უცხოელებიც, მოწინააღმდეგე დაის წარმომადგენლებიც, თვით ბგრატიონებიც ერთხმად აღიარებდნენ გიორგი საკაძის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენის ეპოქალურ მოვლენას და შვილის შეწირვის მოწამებრივ ნაბიჯს. ერთი სიტყვით, ნაკლსაც ხედავდა და განუზომელ დამსახურებასაც ერი! კერძად გიორგი საკაძე არავის გაუხდია. გაეცნობა დაინტერესებული მკითხველი ჩემს წიგნსაც და დარწმუნდება, რომ როსტომ ჩხეიძის მიერ კერპსახურებაზე ჩამოგდებული მსჯელობა სრული გაუგებრობაა.

სიძულვილი მეცნიერულ მეთოდებს უარყოფს. ავიწყებს ოპონენტს, იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ საკამათო საგანი ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს. ქექა-ქექვით, შეხთვის ხელსაყრელი ცნობებით დასკვნების გამოტანა ათასი მილით არის დაშორებული მეცნიერებას.

ასეთი ჩვევა, შესაძლოა, ჩვეულებად გადაქცეს და მოჩხირკედელაე მკვლევარი იქნება. ფაქტებს, ისტორიულ მოვლენებს, არგუმენტებსა და წყაროებს გიორგი საკაძის შესახებ ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ ლანძღვაში ღრმად შეტოპა და მოიწადინა მეც ამოვეგდე. მისთვის ჩვეული ხერხებით განახორციელა ნასფიქრი. ჩვეულებრისამებრ მივარდა ერთ პუბლიკაციას, ამოგლიჯა ციტატა და გადასძახა ქვეყანას, აბა, იხილეთ ამ კაცის სახეო.

როსტომ ჩხეიძე წონასწორობადაკარგული კაცია. შეკამათებამ დაკარგვინა წონასწორობა და ჩქარობს. ვეღარც ამჩნევს, რომ ცანცარითა და მივარდნით საკითხი არ ირკვევა.

ახლა რა ვქნა, საკუთარ თავზე მომიწევს საუბარი. სამწუხაროდ, უნდა გავკეთო ეს. „გამოქომაგების“ მსურველები არიან, მაგრამ დემაგოგები მაინც გამოაბამენ კუდს და ისევ ისა სჯობს, მე წარმოვადგინო ნამდვილი სურათი.

როსტომ ჩხეიძის წერილები გიორგი საკაძესთან დაკავშირებით კონტექსტიდან ციტატის ამოგლეჯის გზით წარმართული ტენდენციური მსჯელობის ნიმუშია და ჩემს ცხოვრებას რომ მიადგა, იმავე მეთოდით სცადა ფონს გასვლა.

რაკი ამდენის უფლება მისცა თავს, ახლა როსტომ ჩხეიძემ კეთილი ინებოს და წაიკითხოს ქვემოთ თქმული: გიორგი საკაძის ურთულესი ბიოგრაფია ხომ არ იცის და არა, აგერ მის გვერდით მცხოვრები კაცის ბიოგრაფიაც არ იცის!.. მაგრამ, ვაი, რომ იცის და აყალბებს. აყალბებს, იმიტომ რომ ძულს.

სიძულვილმა არ დანება, მზერა ერთხელ მაინც გაეპარებინა ჩემი მოკრძალებული ბიოგრაფიისაკენ და სინამდვილე ეთქვა, არ დაემალა მთავარი. არადა მოვალე იყო, ადამიანის პორტრეტის დახატვის შეეცადა!

ყველაფერი დამალა! ამოგლიჯა ორი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი ზვიად გამსახურდიას ეხებოდა, მეორე ედუარდ შევარდნაძეს და, აბა, მხი ჭკუით წარძოუდგინა მკითხველს სახე გარეული კაცისა, ქაქელეონისა, კაჭი კაჭანტირაძისა...

მთელი ჩემი მოკრძალებული შემოქმედების აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი ერის გათიშულობის წინააღმდეგ ბრძოლას კუძღვნი. შესაძლოა, ადრინდელ ნაშრომებს როსტომ ჩხეიძემ ვერ მიადევნა თვალი, მაგრამ ოპონენტი მოვალე იყო მოეკრიბა და გაესინჯა ის წერილები მაინც, რითაც ბოლო წლებში დატრიალებულ მოვლენებს ვეხმაურებოდი.

1990 წლის 27 ივნისის გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა ჩემი ვრცელი წერილი „ყველაზე დიდი პრობლემა“. ყველაზე დიდ პრობლემად მე გათიშულობას ვთვლიდი, გათიშულობა მესახებოდა მოურევნელ საფრთხედ და ამიტომ ავტეხე განგაში.

რამდენიმე ციტატა: „აქვე, თავიდანვე უნდა განისაზღვროს ისიც, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი , ჭეშმარიტი აზრი, რომელსაც უტრიალებს გარს ქართველი ხალხის ფიქრი. ეს აზრი გახლავთ გაერთიანების აუცილებლობა.“

„ფაქტია, რომ მთელი ერი შეშფოთებულია კონფლიქტით. კონფლიქტმა, შესაძლოა, ტრაგედიამდე მიგვიყვანოს. ერმა ეს შეშფოთება უნდა გამოხატოს თავის მხრივ საპასუხო აქციით. ჯერ თვითონ უნდა ირწმუნოს გაერთიანების აუცილებლობის მთელი შინაარსი და მერე ამ აუცილებლობის შეგნებით აიძულოს დაპირისპირებული პარტიები, მივიდნენ ერთმანეთთან და უყვართ თუ არ უყვართ ერთურთი, მოწონთ თუ არ მოწონთ ერთმანეთის კურსი მაინც ერთად იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად“.

„როგორც ფორუმის, ასევე მრგვალი მაგიდის მომხრეებმა უნდა იცოდნენ არა ის, თუ რამდენი კაცი გაყვება მათ, არამედ ის, რომ ქართველი ხალხი არ გაყვება მათ, სანამ ფორუმი და მრგვალი მაგიდა გათიშულია.“

ამავე წერილში მე კატეგორიულად მოვითხოვდი, ქართული ინტელიგენცია ჩადგომოდა სათავეში საყოველთაო სახალხო მოძრაობას, რისი მიზანიც იქნებოდა პარტიათა გაერთიანება და ერთსულოვნების მიღწევა. საქართველოში ბევრი საინტერესო წერილი ქვეყნდებოდა იმ დროს, მაგრამ ჩემს სტატიასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა გაზეთ „თბილისის“, „სამშობლოს“, „ახალგაზრდა ივერიელის“ ფურცლებზე.

ამავე წერილში გამოიკვეთა ჩემი პოზიციაც. გათიშულ ქვეყანას როგორ ვივუებდი და გათიშულ მხარეთაგან რომელიმეს როგორ გავყვებოდი. როგორც ჭწერდი, ქართველი ხალხი, ჩემი ღრმა რწმენით, არ უნდა გაჰყოლოდა გათიშულ მხარეებს, რადგან ეს ნიშნავდა სამოქალაქო ომში გახვევას. ერს მხარეთა შეერთებისათვის უნდა მიემართა მთელი ძალღონე — ეს იყო ჩემი ღრმა რწმენა და ჩემი პოზიციაც. ჩემი დამოკიდებულება ამით განისაზღვრებოდ და ამითვე განისაზღვრება ახლაც.

გათიშულობის ტენდენცია ძლიერდებოდა. 1990 წლის 14 სექტემბერს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე მეორე წერილი გამოვაქვეყნე: „რამდენი ვართ ჩვენ ანუ ვინლა არ არის სუკის აგენტი?!“

რამდენიმე ნაწყვეტი:

„საშინელმა ტენდენციამ თუ ბოლომდე იმძლავრა, შესაძლოა, მთელი საქართველო სუკის აგენტად გამოაცხადოს!“.

„ვინც სხვას უწოდა სუკის აგენტი და ერის მოღალატე, მერე მასაც ოგივე „პატივი“ მიაგეს. მერე და მერე ეს სუკის აგენტიო, ეს მწარე სიტყვები ტყვიამფრქვევით კაკანდა ორივე მხრიდან. ჩვენ „სუკის აგენტი“ და „ერის მოღალატე“ — მიზანი ყოველთვის კონკრეტულია, ხოლო „სუკის აგენტი ის ტყვიაა, რომელიც არასდროს არ სცდება მიზანს, თავი კიდეც რომ მოარიდო, მაინც ვერ აიცდენ. მთავარია მსროლელმა ინებოს!“.

„სუკის აგენტისა და ერის მოღალატის“ წარამარა ძახილი ჩვენ შესაძლოა ჯაჭვურ რეაქციად გადაგვაქცეს და ერთ საღამოს ღღეს დიდებული საქმე თვალწინ აგვიფეთქდეს.

ეს იარლიყი ჩვენ შემოგვაცლის სასიცოცხლო ძალებს, არავის დაგვიტოვებს ირგვლივ“.

„ჩვენ ნატანჯი ხალხი ვართ. ეროვნული მოძრაობა განსაზღვნდელად უნდა ვაქციოთ. იქ უნდა მივიდეთ ყველანი. დიდი ეროვნული მიზანი დავისახოთ, განვიწმინდოთ, მოვიშოროთ გესლი, შხამი, საწამლავი, ფურთხი და ლაქა. ამისთვის უნდა ვუხმოთ ეროვნულ მოძრაობაში ერს და არა იმ მიზნით, ერთმანეთს უმძიმესი ცოდვები მივაწეროთ და სამუდამოდ მოვიკვეთოთ“.

ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს წერილის პათოსი თავიდან ბოლომდე. მე კონკრეტული შემცოდე არ დამისახელებია, საშუალება მივეცი, დაფიქრებულიყო. ცხადია, გონებაჩლუნგიც კი მიხვდებოდა, ვის ეხებოდა ჩემი მწარე წერილი ძირითადად.

მთავარი ჩემთვის გათიშულობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. იქნებ სულაც გათიშული მდინარების საპირისპიროდ მივცურავდი, მაგრამ ასე მერწმია. ყველა ინტერვიუში ამ გათიშულობას ვებრძოდი და იმ ინტერვიუშიც, საიდანაც ციტატი ამოგლიჯა როსტომ ჩხეიძემ, სხვა არაფერია, თუ არა იმპერიასთან ერთად ბრძოლისათვის მეცადინეობა. სათაურიც ამაზე მეტყველებს: „ომში შესულთა საფიქრალი“.

როსტომ ჩხეიძე არ ეუბნება მკითხველს, რიდის დაბეჭდა ის ინტერვიუ. ინტერვიუ დაიწერა მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდია სულ თვენახევრის არჩეული იყო პრეზიდენტად, იმ ხანებში პარიზში კორესპონდენტის შეკითხვაზე ედუარდ შევარდნაძე პასუხობდა: „ქართველმა ხალხმა პრეზიდენტად გამსახურდია აირჩია. ჩემს სიმპათია-ანტიპათიას ამ პიროვნების მიმართ მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ქართველი ხალხის ნებას“. ისახებოდა იმედი, რომ იქნებ მოხერხებულიყო საქართველოს პოლიტიკური ძალების გაერთიანება.

ინტერვიუში ვამბობდი:

„მე დიდი იმედი ჩამინერგა უცხოელ კორესპონდენტთან ამას წინათ ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომელიც გულისხმობდა „მტრულად“ განწყობილ ოპოზიციონერებთან თანამშრომლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი პოულობს თავში ძალას, თვით უმწვავესად დაპირისპირებულსაც მიუტევოს „მტრობა“ და ჩაყენოს საქართველოს სამსახურში. ეს არის ყველაზე სწორი გზა, პრეზიდენტის საკადრისი გზა“

აი, ამ იმედის გამო მივეცი ინტერვიუ. შეშფოთებით შეეკერებდით ყველანი საგანგაშოდ გათიშულ ქართველთა ძალებს და თუკი ნთელი გამოკრთებოდა, მის გაძლიერებას ვეწყრაფვოდით! ჰქონდა ზვიად გამსახურდიას წერილები საქართველოს მისიაზე და რატომ არ უნდა აღმენიშნა? თუკი იმ წერილების შესატყვისად წაუძღვებოდა საქართველოს, რატომ არ იქნებოდა ვითომ ეს კარგი? ჯერ შეძლო გაძღოლა!

რაც მთავარია, ის რამდენიმე თბილი სიტყვა, გამსახურდიას მისამართით თქმული, ცუდი საქმეებისაკენ აქეზებდა პრეზიდენტს? თუ სწორედ ამ ინტერვიუში შევახსენებდი: „კონგრესში არაერთი ღირსეული ინტელიგენტი და ახალგაზრდა პოლიტიკოსი მოხვდა!“ იქვე მოვაგონებდი ჩემს ადრინდელ ინტერვიუს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე დასტამბულს, რომელშიც სწორედ იმ ინტელიგენტებზე მქონდა თქმული: „მისი ძალა გამოჩნდა მასშტაბურად 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ქართული ინტელიგენცია ფეხზე დადგა და მთელს მსოფლიოს ამცნო სიმართლე“(1991 წ.25 მარტი).

კონგრესიდან მე წამოვედი მაშინ, როდესაც დავინახე კონგრესის არსებობის უაზრობა, ჩემს გარდა ბევრი სხვა ინტელიგენტიც წამოვიდა. მრგვალი მაგიდა და კონგრესი ერთმანეთს ებრძოდა, ორივე მხარე ქვეყნის გათიშულობას აღრმავებდა! რა გამაჩერებდა პირველთან ან მეორესთან რა მიმიყვანდა! კონგრესიდან წამოვედი, მრგვალ მაგიდაში კი არ მივხულვარ! დაპირისპირებული მხარეების შეხვერთებლად კი დიდი დრო და ენერგია დავხარჯე, ხხვა ინტელიგენტების მსგავსად. როსტომ ჩხეიძის მიერ დამოწმებული ინტერვიუ კი ბოლო ცდა იყო. არ დამიწერია მე ეგი 19 აგვისტოს მერე, მით უმეტეს 2 სექტემბრის შემდეგ, 4 ოქტომბრის შემდეგ!..

ვისი დაცვა იყო ჩემი წერილები — „ყველაზე დიდი პრობლემა“, ან „რამდენი ვართ ჩვენ, ანუ ვინლა არ არის სუკის აგენტი?“ თუ არა ინტელიგენციისა? ან ის ინტერვიუები, სადაც კი ინტელიგენციაზე ჩამოვარდებოდა სიტყვა?

რას აკეთებს როსტომ ჩხეიძე? მთელს ისტორიას, მთელს ამ უმძაფრეს წერილებს, მიმართულს გათიშულობის წინააღმდეგ, განზრახ ჩქმალავს და ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძეზე ვამოთქმული მოსაზრებების შეპირისპირებით უნდა ის სურათი დახატოს, მას რომ აძლევს ხელს. არც უფიქრდება უნებურად „დამსმენის“ როლში რომ გვევლინება; ეს კაცი ზვიად გამსახურდიას აქებდა, ბატონო, აგერ გუშინ, ახლა თქვენ გაქებთ, არ ენდოთ, არ შეცდეთ, კაჭი კაჭანტირაძეა, კანი აქვს გამოცვლილი. მისივე სიტყვებით უნდა მივმართო: „ნუ ექნება ხელისუფლების იმედი. ხელისუფლებას ახლა ამისათვის არ სცალია“. ხოლო თუ მოიცლის, ქვეყანა დაწყნარდება ღვთის მადლით და მოიცლის, მაშინ იმასაც გაარკვევს, რისთვის ვებრძოდი მე მთელი ამ ხნის განმავლობაში.

მე ედუარდ შევარდნაძეს ვაქებ არა იმისათვის, რომ რაიმე დავსტყეო, ვაქებ იმად, რომ ღრმად მაქვს გაცნობიერებული მისი პოლიტიკური შესაძლებლობანი, ვიცი, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის. რაკი თავის დროზე რამდენიმე თბილი სიტყვა ეთქვა ზვიად გამსახურდიას, რატომ უნდა ნიშნავდეს ეს აუცილებლად ედუარდ შევარდნაძის უარყოფას? რატომ ვფიქრობთ ქართველებს ნაწილი, და იმ ფიქრის შესატყვისად რატომ ვცდილობთ ერთმანეთს დავაჯახოთ გამონენილი პიროვნებები? ბოლშევიკების და მენშევიკების ფსიქოლოგიით, ფეოდალური გათიშულობის ფსიქოლოგიით რიდემდე ვაპირებთ ერთმანეთის განადგურებას? ეეშველით ამ ვზით საქართველოს ოდესმე? მეტი არაა ჩემი მტერი. დასმენა ჩემთხვევით არ მიხსენებია. ახლა ხელისუფლება რომ ბაგიედეს, რეპრესიები დაიწყოს, როსტომ ჩხეიძეს უსმინოს და დამიჭირონ, იქნება თუ არა როსტომ ჩხეიძე ჩაშვებდამსენი? რატომ არ უფიქრდება, რას აკეთებენებს სიძულვილი?

მე მაქვს ჩემი პოზიცია, გამომდინარე ჩემი წიგნებიდან, ჩემი წერილებიდან, მიბრძოლია და ვიბრძოლებ გათიშულობის წინააღმდეგ. არ მეშინდება და არც ვიკადრებ ვინმესთან მირბენას მას შემდეგ, როდესაც მხარდამჭერ სიტყვას გამოვაქვეყნებ. სხვისი ხელობაა ეგ.

როგორ ვიფიქროთ, რაკი როსტომ ჩხეიძემ ღღეს ვალოდია გოგუაძეზე გამოაქვეყნა სახოტბო წერილი და აღნიშნა „თურმე რა მღელვარე ბიოგრაფია არ გვცოდნია“, ეს პარლამენტის სპიკერის ვახტანგ გოგუაძის სასიამოვნოდ მოიმოქმედა? წყალობას ელოდება მისგან? „დარის გამოცვლას დროზე აუღო“ ალღო, კაჭი კაჭანტირაძის მსგავსად?

დასასრულს მკითხველს ბოდიში მინდა მოვუხადო იმ სიტყვებისათვის, რითაც მინდა დავასრულო კამათი ოპონენტთან: ათასი სიცოცხლე რომ აჩუქოს ღმერთმა როსტომ ჩხეიძეს, ერთსაც ვერ გალევს ისე კეთილსინდისიერად და პატიოსნად, როგორც განვლო ჯანსუღ ღვინჯილიამ თავისი ცხოვრება ღღემდე. ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეს.

რედაქციისაგან:

სამწუხაროდ პოლემიკამ გიორგი საკაძის პიროვნების გარშემო როსტომ ჩხეიძისა და ჯანსუღ ღვინჭილის შორის პიროვნული კონკლამის ხასიათი მიიღო.

როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, კარგად დაწყებული საქმე ცუდად დამთავრდა, ანუ საზოგადო სატკივარზე ფიქრმა ერთობ იცვალა გეზი, ამიტომაც ვწყვეტთ ამ გაჭიანურებულ კამათს...

აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის

არსებობდა კი აფხაზთა სამთავრო XVII—XVIII საუკუნეებში?

აბესალომ ტუღუში

დასასრული
დასაწყისი №№19,20,21

ზემოთ გაკეთებული დასკვნის სისწორეში კიდევ უფრო დაგვარწმუნებს ამ საკითხის სახელისუფლო ნიშნებისა და ტიტულატურის კუთხით შესწავლა.

დღემდის მოღწულ XVI—XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის დამდეგის ოდიშისა და გურიის მთავართა ხელიდან გამოსული სიგელების (წყალობის წიგნების, შეწირულობის წიგნებისა და სხვა სახის საბუთების) დასაწყისში („სიგელის თავში") ისევე, როგორც XI—XVIII საუკუნეთა სამეფო სიგელებში, ყოველთვის აღნიშნულია მთავრის წოდებულობა **(intitulatio)** და აქ, როგორც წესი, ხაზგასმულია მწყალობელი ან შემწირველი მთავრის ხელმწიფობა ან მისი თანამეცხედრის დედოფლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვისაც მიემართება სიტყვა ხელმწიფე ან ვის მეუღლესაც დედოფალი, გვირგვინოსანი ანუ მთავარია.. ეს წესი უმეტეს წილად დაცულია ქვაზე და ლითონზე შესრულებულ წერწერებშიც კი.

აი, მაგალითები:

...ჩვენ, ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან პატონმან ნესტან-დარეჯან და შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა გკადრეთ, მოგახსენეთ და შემოგწირეთ ენინი და მცირე ესე შესაწირავი" (**ს.ყაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ.I.ტფ.1921.გვ.40**)

„მე გურიელმან პატონმან როსტომ... და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან თამარ და ძეთა ჩვენთა...შემოგწირეთ ოდიშს სოფელი ნიბულა" (**იქვე.გვ.15**).

ახლა კი ვნახოთ როგორ მოიხსენიებენ თავს თავიანთ სიგელებსა და წარწერებში შარვაშიძეები.

ბიჭვინთის სახარების ვერცხლის ჭედური ყდის წარწერაში ნათქვამია:

„ბიჭვინტისა ღვთისშობელო, ჩვენ შენმან მონდობილმან და მოსავმან შარვაშიძემა საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შესაწირავი გაუჩენდი ხუცესი ჩანგელია ამა სოფელსა ჩ[illegible]ხდა სადღეგრძელოდ და გასამარჯებლად და ძისა ჩუენისა სავარეხისა აღსაზრდელად..." (**ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია. ტ.V. თქ. 1949. გვ.74**).

ყვაპუ შარვაშიძის პირობის წიგნში კი, რომელიც მას კათალიკოს დავით ნემსაძისათვის (1675-1696) მიუცია, ვკითხულობთ:

„ესე...წიგნი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ შარვაშიძემან ბატონმან ყვაპუ და ჩემმან ძმამან ქერეტი,თქვენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს, ასრე და ამა პირსა ზედან, რომელ ნაჟანაურელი და ხოირული კაცები, რომელიც ახლა იყოს, ის შეუცოდებლად და თქვენდა უკითხავად აღარ გავყიდოთ..." (**საქართველოს სიძველენი —I.გვ.36**).

განსაკუთრებით საყურადღებოა, აფხაზ მფლობელთაგან ყველაზე ძლიერის ქელეშ-აჰმედ-ბეგ შარვაშიძის მიერ 1806 წელს, ოდიშის დედოფალ ნინოსათვის მიცემული ხელწერილის დასაწყისი:

„ესე მტკიცე ხელი წერილი მოგართვი თქვენ,ბატონს საქართველოს მეფის ასულს, დედოფალს ნინოს და თქვენს ძეს დადიანს ლევანს, მე შარვაშიძე ქელეშ-აჰმედ-ბეგმან..." Акты III тифл. 1869. გვ.189): ხედავთ, ოდიშის დედოფლის ტიტული ნაზგასმულია, ქელეშ-ბეგი შარვაშიძე კი უტიტულოდაა წარმოდგენილი!..

როგორც, ვხედავთ არსად, არცერთი შარვაშიძე არ იხსენიებს თავის თავს ხელმწიფედ და არც თანამეცხედრეს ასახელებს არცერთი მათგანი. არადა, თუ ქელეშ-ბეგ შარვაშიძის მიერ თანმეცხედრის არმოხსენიება მისი მაჰმადიანობით შეიძლება აიხსნას (მას ცოლიც მაჰმადიანი ჰყავდა — რაბია ხანუმ მარშანია), ქრისტიანი შარვაშიძეების (სოლომონ, საუსტან და ყვაპუს) მიერ, თუკი ისინი მართლაც მთავრები იყვნენ, თანამეცხედრეთა არმოხსენიება დედოფლად, სავსებით წარმოუდგენელია ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის. აფხაზეთში კი იმთავითწორედ ქართული ფეოდალიზმი [illegible]ნობდა და ის ბოლომდე დარჩა ქართულ ფეოდალურ ქვეყნად.

აქ მე სამიოდ დოკუმენტი დავიმოწმე, მაგრამ ასეთივე სურათს ვხედავთ შარვაშიძეთა ხელიდან გამოსულ, ყველა დღემდის მოღწეულ საბუთში, შეწირულობის წიგნი იქნება ის თუ სახარების ყდაზე შესრულებული ამავე ხასიათის წარწერა. მართალია ასეთი დოკუმენების რიცხვი დიდი არაა (სულ ათიოდე დოკუმენტია მოღწეული), მაგრამ ვგონებ ესეც კი საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: შარვაშიძეთა და მათ თანამეცხედრეთა ტიტულატურისათვის უცხოა წოდებულობები — **ხელმწიფე და დედოფალი.**

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ ხანის საბუთებში თავადთა თვითგანდიდების, ზვიადობის, თვითმარქვიობისა და ამპარტავნობის არაერთი მაგალითია დაცული (თავადთა უთავადესი, მოურავთა მოურავი, უძლეველთა უძლეველი და მისთანანი), შარვაშიძეთა მორიდებულობა და თავმდაბლობა კი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ფეოდალური საგვარეულოსი, ძნელად დასაჯერებელია.

ნებისმიერ ფეოდალურ სახელმწიფოს, სამეფო იქნება ის თუ სამთავრო, გააჩნია სახელისუფლო ნიშნები — ტახტი, გვირგვინი, სკიპტრა, სეფე

ბიბლიოთეკა

ცხადი გახდება გიორგი (საფარბეგ) შარვაშიძის წერილში დაცული ცნობის ჩემეული ახსნის სისწორე.

XVII საუკუნის იტალიურ და ლათინურენოვან წყაროებში, როგოც გურიისა და ოდიშის მთავრები, ასევე შარვაშიძეები (თანაც ერთდროულად ორნი ან სამნი), იმ დროსაც კი, როცა, როგორც გაირკვა, ისინი ოდიშის მთავრის ყმები არიან, Principe-დ და Duc--ად არიან მოხსენიებულნი, მაგრამ ლათინური Principi და მისი იტალიური შესატყვისი Principe, აღნიშნავს როგორც მთავარს, ასევე წარჩინებულს, ბელადს, თავკაცს, მპყრობელს, ლათინური Ducis ნაწარმოებია ზმნისაგან Duco, duxi, ductum რაც გაძღოლას ნიშნავს. ამიტომ შარვაშიძეთა Principe — Principid და Duc—ად მოხსენიება იტალიურ და ლათინურენოვან წყაროებში ვერ გამოდგება მათი **მთავრობის** სამტკიცებლად, მით უფრო სხვა მონაცემების შუქზე.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ფრიად მნიშვნელოვანია რუსული წყაროების მონაცემები. აქ შარვაშიძეები ჩვეულებრივ „Абхазски княз"-ად владетель—ად (მფლობელად) ან владетельный княз—ად არიან მოხსენიებულნი. მაგრამ არც княз—ში და არც владетель—ში, როგორც ჩანს, ცალსახად მთავარი არ იგულისხმება. საქმე იმაშია, რომ რუსულ წყაროებშიც გარკვევით ჩანს, აფხაზეთის ერთდროულად რამდენიმე владетель—ის არსებობა. მაგალითად გენერალი ა.ტორმასოვი частные абхазские владетельцы—ს ეძახის მათ. (Акты. IV. გვ.411), ესეც არ იყოს, იმის გამო, რომ რუსული ფეოდალიზმისათვის საყმოები (სათავადოები ანუ სენიორიები) უცნობი იყო, რუსულ ენაში მთავარი-ც და თავადი-ც ერთი სიტყვით княз—ით აღინიშნებოდა. შესაბამისად სიტყვა владетель—ს რუსები ერთნაირი წარმატებით ხმარობდნენ, როგორც ქართული მთავრის ასევე ქართული სათავადოს თავკაცის (თავადის) აღსანიშნავად. ამიტომ, ვერც შარვაშიძეთა Абхазский княз—ად მოხსენიება ვერ გამოდგება მათი მთავრად მიჩნევის საბუთად.

რუსული ენის ამ ნაკლის (მთავრისა და თავადის ერთი სიტყვით княз—ით აღნიშვნის) გავლენას XVIII საუკუნის ზოგი ქართველი მოღვაწეც ვერ გაექცა. მაგალითად ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც თავის დიდებულ ნაშრომს რუსეთში წერდა, **მთავრს** უწოდებს არა მარტო ნამდვილ მთავრებს (დადიანებს, გურიელებს, ჯაყელებს), არამედ რიგით თავადურ საგვარეულოებსაც (ჭილაძეებს, აბაშიძეებს და ა.შ.) ამავე მიზეზით უნდა აიხსნას კათალიკოს მაქსიმე II აბაშიძის (1776-1795) მიერ მოსკოვიდან ბესარიონ გაბაშვილთან 1789 წელს გაგზავნილ ერთ წერილში შარვაშიძის აფხაზეთის **მთავრად** მოხსენიება („ერთხმა იქნება მეფისა ჩვენისა შარვაშიძე, აფხაზეთისა მთავარი"), რადგან, დავით მეფის მიერ იმავე 1789 წელს ბესარიონ გაბაშვილისათვის გაგზავნილი წერილებიდან ჩანს რომ კათალიკოსის წერილში მოხსენიებული „აფხაზეთის მთავარი" არ არსებობდა (ვ.მაჭარაძე. **ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბ.1968 გვ.281-282**) „ამ მაისს გვეახლენ ჩუენდამი შარ[illegible], მპყრობელნი ყოვლისა აფხაზეთისაო" — წერს დავით მეფე და იქვე ასახელებს აფხაზეთის მპყრობელ შარვაშიძეთაგან ერთერთს ესაა „ზემო აფხაზეთისა მპყრობელი ლეონ შარვაშიძე" (იქვე.გვ.278). „ზემო **აფხაზეთ**"-ში ცხადია სამურზაყანო იგულისხმება, სწორედ ამ სათავადოს ფლობდა ამ დროს ლევან შარვაშიძე. ცხუმში კი უკვე ქელეშ შარვაშიძე იჯდა ბეგად, ზუფუც საფიქრებელია, მასვე ემორჩილებოდა, აბჟუა კი ბეჟირ ბეგის ხელში იყო.

ამრიგად, მაქსიმე კათალიკოსის მიერ „აფხაზეთის მთავრის" მოხსენიება რუსული გავლენითღა შეიძლება აიხსნას.

იმის დასადგენად, მართლა მთავრები იყვნენ XVII—XVIII საუკუნეთა შარვაშიძენი თუ უბრალოდ სათავადოთა თავკაცები (თავადები), განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თურქული წყაროები (როგორც თხრობითი, ასევე დოკუმენტური) ოდიშისა და გურიის მთავრებს მოიხსენიებენ **მელიქ**-ად, რაც მეფე ნიშნავს და **ხან**-ად, რაც მთავრის შესატყვისია. რაც შეეხება ცხუმში მჯდომ შარვაშიძეებს, ისინი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე **სუხუმის ბეგად, აფხაზთა ბეგად, სუხუმიკალეს ჟელობელად** იწოდებიან. მაგალითად, თავდგირიძის ქრონიკის, (S-1700) ცნობით „ფაშათ ერთი ძმა იყო შარვაშიძე, რიონის და ჭანეთის რიზინს ამოღმა, მეორე ძმას ბათუმის ბეგობა ქონდა და მესამეს სოხუმის ბეგობა ქონდა" (**ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ კოლექცია. ტ.III. თბ. 1963. გვ. 145**).

„სოხუმის ციხის მფლობელს" უწოდებს ქელეშ-ბეგ შარვაშიძეს თურქი დიდმოხელე იბრაჰემ ხაშიმი (Акты. II.გვ.872).

საყურადღებოა ისიც, რომ გენერალი კ. ბაგრატიონ — მუხრანელი, ჩანაწერებში, რომელიც აფხაზეთის წარსულს ეხება და 1866-1870 წლებს შორისაა შედგენილი, ცხუმში მჯდომ შარვაშიძეებს „**ცხუმის მოურავებს**" უწოდებს (Документы по истории Грузии. Подготовлен к печати С.дрейзеном. под ред. проф. Ш. Чхетиа. т.1.ч1.Тб.1954, стр.527).

რადგან ცხუმელი შარვაშიძეები მთავრები კი არა, ბეგები იყვნენ, მათი თანამეცხედრეებიც, შესაბამისად არა დედოფლებად, არამედ ცხუმის ხანუმებად იწოდებოდნენ. ერთ უთარიღო, დედაბრული ხელით ნაწერ წერილში სწორედ „სუხუმის ხანუმ" ადაა ის წოდებული (**თ.ხაჟომია. ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე. კრ. „მიმომხილველი". I.თბ. 1949. გვ.91**). დედოფლის ტიტულის მქონე პირველი თანამეცხედრე შარვაშიძეთა თანამეცხედრეებს შორის იყო, გელოვანის ასული, რომლის სახელი, სამწუხაროდ არ ვიცით. ის, როგორც ჩანს რუსთა მიერ 1810 წელს აფხაზეთის მთავრად დასმული გიორგი შარვაშიძის ცოლი იყო. H-938 ტომგულანის ქრონიკის ცნობით ქრონიკონს ფგ ანუ 1815 წელს „გელუანის ქალი აფხაზეთს დაჯდა დედოფლად" (**ჯ. ოდაშელი. მცირე ქრონიკები.გვ.77**).

ფრიად საყურადღებოა კიდევ ერთი რამ: 1670 წელს ამსტერდამში .. მიერ გამოცემულ თურქეთის იმპერიის რუკაზე, რომელიც ლათინურ ენაზეა შედგენილი, ოდიში და გურია მოხსენიებულნი არიან სამეფოებად (Regnum) რაც შეეხება აფხაზეთს, მის ჩრდილოეთი, მთიანი ნაწილის გასწვრივ აქ იკითხება Avogasia ხოლო დასავლეთით, სადღაც სოჭის მიდამოებში, კი Abasia არც ერთ და არც მეორე სახელწოდებას არ ახლავს სამეფოს (ან სამთავროს) აღმნიშვნელი ლათინური Regnum, არადა, ამ რუკის შემადგენელი, როგორც რუკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, საკმაოდ კარგად ერკვევა, მის მიერ რუკაზე დატანილი ქვეყნების პოლიტიკურ სტატუსში, ადმინისტრაციულ —უფლებრივ მდგომარეობაში და იმ დროისათვის არსებულ ურთიერთობრივ რეალობებში. (**Дж.Гвасалиа. Територия Грузии на европеиских картах империи XVII века. ჟ."მაცნე"** (ისტორიის სერია). 1987.№2.გვ.102). ამის ნათელი მაგალითია ის, რომ მას არ გამორჩენია არც უბატონო თემების არსებობაც კავკასიაში (მაგალითად სვანებს ის აკუთვნებს populi liberi ანუ თავისუფალ, უბატონო ტომებს), არც თურქეთის საბეგლარბეგოების ყმური დამოკიდებულება [illegible]ნის კარისადმი (საბეგლარბეგოებს ამ რუკ[illegible] შემადგენელი ...უწოდებს). ამიტომ, ამ რუკ[illegible]ზე აფხაზეთის სამეფოდ (სამთავროდ) არ[illegible]ენიება არსებული რეალობის ასახვად [illegible]ნდა მივიჩნიოთ.

ამგვარივე მდგომარეობაა XVII საუკუნის მიწურულს ფრანგულ ენაზე შედგენილ სანსონის რუკაზეც: აქაც სამეგრელო და გურია სამეფოებად იწოდებიან (Royaum d'Odisci au Mingreliae ოდიშის ანუ სამეგრელოს სამეფო Royaum de Guriel — გურიელის სამეფო), აფხაზეთი კი არა (იქვე.გვ.103).

როგორც უკვე ითქვა, ფეოდალური სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია აგრეთვე სამეფო (სამთავრო) კარის არსებობა. ფეოდალურ ქართულ სახელმწიფოებში „კარის განმგებელნი" ანუ „დარბაზის ერნი... უზედაესნი", ისევე როგორც უფრო დაბალი საფეხურის მოხელეები (უქვედაესნი), სამეფოს ან სამთავროს საქმეებს განაგებდნენ დარგების მიხედვით, დასავლურ ქართულ სამეფო-სამთავროებში უდიდეს მოხ[illegible] ითვლებოდა **სახლთუხუცესი** რომელიც ზოგჯერ **ვეზირად**, ზოგჯერ კი **სახელის უფროსად** იწოდებოდა. მნიშვნელოვან სახელოებს წარმოადგენდნენ სარდლის, მესტუმრეთუხუცესის, მოლარეთუხუცესის და სხვა სახელოები. მეფე ან მთავარი ხელს, როგორც წესი, თავის ერთგულ თავადებს და აზნაურებს უბოძებდა ხოლმე და ხშირად ეს სახელოები მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე.

წყაროებში მართალია არცთუ ისე უხვად, მაგრამ მაინცაა შემონახული ცნობები ოდიშისა და გურიის სამთავრობო კარების, ცალკეულ სახელოთა მფლობელის შესახებ. ვიცით, მაგალითად, რომ ოდიშის ვეზირებად სხვადასხვა დროს იჯდნენ მერაბ ქორთოძე ანუ ქორთუა (XVII საუკუნის დამდეგს), პაპუნა ანჯაფარიძე (XVII საუკუნის 20-იან წლებში), პაატა წულუკიძე (XVII საუკუნის მეორე მეოთხედში), დეისმა ჯოლია (1661-1662 წლებში), კაცია ჩიქვანი (1669—1681 წლებში), გიორგი ჩიქვანი (1681-1701 წლებში), დეისმა ჩიჩუა (XVIII საუკუნის შუა ხანებში), გიორგი გუგუშვილი (XIX საუკუნის დამდეგს) და ნიკო დადიანი (1834 წლამდე). დაწერილებითაა შესწავლილი გურიის სამთავრო კარის ისტორიის საკითხები პროფ.ქველი ჩხატარაიშვილის შესანიშნავ ნაშრომში „გურიის სამთავრო2 (1963 წ.), რომელიც, სამწუხაროდ დღემდის გამოუცემელია. ცხადია, აფხაზეთშიც, თუკი ის მართლაც სამთავრო იყო, ხოლო შარვაშიძეები მართლა მთავრებს წარმოადგენდნენ, მათაც სამთავროს მართვისათვის აუცილებელი მოხელეები (სახლთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, მდივანბეგები...) უნდა ჰყოლოდათ. მით უფრო, რომ მაგალითად სახლთუხუცესი სათავადოთა უფროსებს-თავადებსაც კი ჰყავდათ ამდროინდელ საქართველოში. მაგრამ არა თუ XVII—XVIII საუკუნეების იმ თითებზე ჩამოსათვლელ დოკუმენტებში, არამედ 1810—1864 წლების საბუთებშიც და სხვა სახის წერილობით წყაროებშიც, აფხაზეთში არ ჩანს არცერთი სახელო, არცე-

რთი კარის გამრიგე მოხელე. მეტიც, აფხაზეთის სამთავროს შექმნის შემდეგაც კი არ შექმნილა სამთავრო კარი, სამთავროს სამართავი სამოხელო მწყობრი მანქანა, რაზედაც მეტყველებენ „Кавказский календарь“-ში დაცული ცნობები. ეს კალენდარი, როგორც ცნობილია 1844 წლიდან გამოიცემოდა კავკასიის მეფის ნაცვლის სამმართველოს მიერ, და მის განყოფილებაში „Кавказский Адрес—календарь“ ყოველწლიურად ქვეყნებოდა ცნობები იმის შესახებ თუ ვის ეკავა სამეგრელოს სამთავროს სახლთუხუცესის, მსაჯულთუხუცესის, მდივანბეგთუხუცესის სახელოები, ვინ შედიოდა სამეგრელოს მმართველობის საბჭოში (მასში მდივანბეგთუხუცესის გარდა ოთხი მდივანბეგი იყო), თუ ვინ იყვნენ ახალი წლისათვის სამეგრელოს სამაზრო მდივანბეგები და მათი თანაშემწეები (სამეგრელო*ამ დროს რვა მაზრად იყო დაყოფილი), თუ ვინ იყვნენ სამეგრელოს სამთავრობოს კონსულები თბილისში, ქუთაისში და ცხუმში. მეტიც, ამ კალენდრებში, როგორც წესი შედიოდა მონაცემები იმ მოხელეთა შესახებ, რომლებიც 1840 წლიდან უშუალოდ რუსეთს დაქვემდებარებულ სამურზაყანოს მართავდნენ (პრისტავი და მისი თანაშემწე, სასამართლოს წევრები, რომელთაც სათავეში მდივანბეგი ედგა). მაგრამ აფხაზეთის სამთავროს კარის განმგებელ მოხელეთა შესახებ ამ უაღრესად სანდო წყაროში, არავითარი ცნობა არ არის. ერთადერთი ვისზეც შეხვდებით ცნობას ამ კალენდარში ესაა თვითონ მიხეილ შარვაშიძე. ესაა და ეს. მაშინ როდესაც იქვე დაწვრილებითი ცნობებია აფხაზეთის რუსული ადმინისტრაციის შესახებ (აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარების უფროსი, კანცელარიის მმართველი, ქალაქ სუხუმ კალეს რატუშის მდივანი, კომენდანტი, პოლიციის ჩინოვნიკი) დასახელებულია აგრეთვე აფხაზ მუსლიმანთა მუფტი და ყადი).

შეუძლებელია ასეთ ვითარებასთან გვქონოდა საქმე, XVII—XVIII საუკუნეებში აფხაზებს საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით რომ ეცხოვრათ, რადგან ასეთ შემთხვევაში იარსებებდა სამთავრო კარიც, რომლის მოშლას, ისევე როგორც გურიისა და ოდიშის სამთავროებში, რუსეთი ცხადია, მოერიდებოდა ამ სამთავროთა გაუქმებამდე. აქ, აფხაზეთში, ასეთი რამის არარსებობა, რუსეთს კიდევ უფრო აუდვილებდა ამ ქართულ ქვეყანაში დამკვიდრებას. აი, სწორედ ამითი უნდა აიხსნას, აფხაზეთში, ოდიშის სამთავროსაგან განსხვავებით, უშუალოდ რუსეთის ხელისუფლების დამორჩილებული რუსული ადმინისტრაციის არსებობა, ანაცვლად სამთავრო კარისა.

ამრიგად, ირკვევა, რომ აფხაზეთში არ არსებობდა ფეოდალური სამთავრო კარი რაც კიდევ ერთი დამადასტურებელი გარემოებაა იმისა, რომ XVII—XVIII საუკუნეებში არ არსებობდა აფხაზეთის სამთავრო, და არც შარვაშიძენი მჭდარან მთავრებად.

მაშ, როდის შეიქმნა აფხაზეთის ის სამთავრო 1864 წელს რომ გააუქმა რუსეთის მთავრობამ და რომელიც უშუალოდ შეუერთა რუსეთს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის საჭიროა თვალი გავადევნოთ XIX საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და გავეცნოთ იმ დოკუმენტებს, რომლებიც მეტნაკლები სიცხადით ჰფენენ ნათელს აფხაზეთის სამთავროს მეყსეულ წარმოშობას.

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ერთერთ ქვაკუთხედს აფხაზეთის შემოერთება წარმოადგენდა, რადგან აქ ფეხის მოკიდება მას უადვილებდა თავისი ხელისუფლების გავრცელებას ჩერქეზულ ტომებზე და სამხრეთი საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფის და კავკასიაში მეტნაკლები მშვიდობის მიღწევის საშუალებას აძლევდა.

ქელეშ-ბეგ შარვაშიძე, რომელსაც XIX საუკუნის დამდეგს სულთანის მიერ შერისხული ტაიარ-ფაშის შეკედლებისათვის, თავის სიუზერენთან-თურქეთთან ურთიერთობა გაურთულდა, რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას დაადგა და ემსხვერპლა კიდეც ამას. თურქეთმა ქელეშ-ბეგს მის მიერვე ათვალისწუნებული უფროსი შვილი ასლან ბეგ შარვაშიძე დაუპირისპირა, რომელიც სათავეში ედგა აფხაზთა ოსმალოფილურ დასს. 1808 წლის 2 მაისს ასლან-ბეგმა მოჰკლა მამა და ხელთ იგდო ცხუმის ციხე, მაგრამ მისი ხელისუფლება ამ ციხის კედლებს აღარ გასცილებია. მდინარეებს კოდორსა და შიკიკუარას (ჟინწყარს) შორისი ქვეყანა, რომელსაც ჰასან ბეგ შარვაშიძე ფლობდა, სავსებით დამოუკიდებელი იყო. ქელეშ-აჰმად ბეგის უსაყვარლესი შვილი საფარ ბეგი, რომელიც მან თავის მემკვიდრედ თავის სიცოცხლეშივე გამოაცხადა, მაშინათვე შეეცადა ოდიშის მთავრის დახმარებით ზუფუს შემომტკიცებასა და მამის მკვლელი ძმისთვის ცხუმის ქვეყნის წაგრას. ოდიშის დედოფალ ნინო ბაგრატიონის ცნობით საფარ-ბეგ შარვაშიძემ „ამოვლო, მისწრაფვით ნიკოფსით და მოაოხრა ყოველი სამკვიდრებელი და გარე შემო სოფლები ასლან-ბეგისა და მოსწვა ცეცხლითა ესრედ შემამჭიდროებელმან ციხისა სოხუმისამან (Акты. III. Тифл.1869.стр.201). მაგრამ ეს იყო და ეს. ამის მეტი საფარ ბეგმა ვერ შეძლო. ცხუმის ციხეში ასლან ბეგი გამაგრდა და საფარ ბეგს სხვა არა დარჩენოდა რა გარდა იმისა რომ დახმარებისათვის ოდიშის დედოფლისათვის და მისი მეშვეობით კი რუსეთისათვის მიემართა. რუსეთმაც ცხადია ხელიდან არ გაუშვა ეს შემთხვევა და 1809 წელს საფარ-ბეგ შარვაშიძე, რომლის ქრისტიანული სახელი იყო გიორგი, აფხაზეთის მთავრად აღიარა და ამის დამამტკიცებელი სიგელი და სამთავრო ნიშნებიც უბოძა (იქვე, გვ.204). მაგრამ გიორგი (საფარ ბეგ) შარვაშიძე, რომელიც „ფიცით შეკვრის წიგნში“, რუსეთის მთავრობას თავს აცნობდა, როგორც **„მთავარი და მპყრობელი აფხაზთა უშინაგანესისა ადგილებისა და მემკვიდრე ზუფუსა და წებელისა** (Акты.IV.გვ.414). სინამდვილეში ყოველგვარ ძალასა და ცხადია ხელისუფლებასაც მოკლებული იყო. რუსეთის ქვეშევრდომობაში მისი შესვლა სულაც არ ნიშნავდა აფხაზეთის გაქვეშევრდომებას, რადგან ისიც, ისევე როგორც მისი ძმები, და სახლიკაცები, ისევე როგორც მამამისი ქელეშ ბეგ შარვაშიძე, არ იყო მთელი აფხაზეთის მპყრობელი, ის მხოლოდ მისი **„უშინაგანესი ადგილების“** განმგებელი იყო. ამას კარგად ხედავდნენ კავკასიაში მოღვაწე რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები. ამიტომ იყო, 1809 წლის 19 ივნისს გენერალი ალ.ტორმასოვი (1752-1819), გენერალ ორბელიანს რომ წერდა: „აუცილებელია, რომ თქვენ ეცადოთ საფარ ალი ბეგის მხარდაჭერას და რედუტ-კალეში ჩასული აფხაზი თავადები მიუმხროთო“. მაგრამ აფხაზი დიდებულების მომხრობაც რომ შესძლებოდათ, აფხაზეთის ერთმმართველ მთავრად საფარ-ბეგ შარვაშიძის აღიარებაზე უხუცესთა თანხმობის მიღწევა ბევრად ძნელი იყო. მთ უფრო, რომ თურქეთის მსტოვრებმა, რომლებიც საკმაოზე ბევრნი იყვნენ აფხაზ დიდკაცობაში, ისარგებლეს რა იმით, რომ საფარ-ბეგ შარვაშიძეს ხელზე არ ჰქონდა რუსეთის ხელმწიფის მიერ მისი აფხაზეთის მთავრად დამტკიცების სიგელი და სამთავრო ნიშნები, სცადეს არ დაეშვათ აფხაზთა დამორჩილება საფარ-ბეგისათვის. მართლაც, აფხაზეთში, რუსეთისადმი ერთგულების წინდად მძევლების მისაღებად ჩასული ოფიცრის თანდასწრებით, შეკრებილმა უხუცესებმა უარი განუცხადეს საფარ-ბეგს თავიანთი გვარებიდან მძევლების მიცემაზე, რადგან ისინი არ ცნობდნენ მას რუსეთის ხელმწიფის მიერ აფხაზეთის მთავრად დამტკიცებულად. (Акты. IV.გვ.420). სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საფარ-ბეგი ითხოვდა სიგელისა და სამთავრო ნიშნების მისთვის გადაცემის დაჩქარებას. 1810 წლის მაისის დამდეგს მან საგანგებო წერილით გენერალ ალ.ტორმასოვს (1752-1819) აუხსნა, რომ აფხაზები, თურქების ბატონობის დროს მიჩვეულნი იყვნენ მათი მფლობელის სულთანის მიერ ფირმანით დამტკიცებას და მისთვის სამფლობელო ნიშნების (знаков владических) გამოგზავნას და ამიტომ საჭიროა რუსეთის ხელმწიფის მიერ მისი მთავრად დამტკიცების სიგელის და სახელისუფლო ნიშნების მისთვის გადაცემის დაჩქარება.

ამან რუსეთის მთავრობა უფრო სწრაფად აამოქმედა. მალე სიგელი და სამთავრო ნიშნები ყულევში (რედუტ კალეში) ჩაიტანეს, მაგრამ მისი საფარ-ბეგ შარვაშიძისათვის გადაცემა, მაინც ვერ ხერხდებოდა.

გიორგი (საფარ-ბეგ შარვაშიძე), მიუხედავად იმისა რომ ზურგს რუსეთის სახელმწიფო და დასავლეთ შავი ზღვისპირეთში მისი პოლიტიკის ერთგული გამტარებელი ოდიშის სამთავრო უმაგრებდა, თავის ძმის, მამისმკვლელ ასლანბეგის შიშით, რომელიც 62 ზარბაზნით შეიარაღებულ ციხონთან ერთად იყო ცხუმის ციხეში გამაგრებული ზუგდიდში, თავისი ცოლის (თამარ დადიანის) ძმის შვილის, ოდიშის ჭაბუკი მთავრის ლევან V დადიანის სასახლეში აფარებდა თავს და აფხაზეთში შესვლას ვეღარ ბედავდა. აი, რას წერდა 1810 წლის 15 ივნისს საქართველოს მთავარმმართებელი გენერალი ალექსანდრე ტორმასოვი, იმერეთის მმართველს გენერალ სიმონოვიჩს: „მე არანაირად არ ველოდი, რომ საფარ-ალი ბეგი, ჯერ კიდევ ჩემი წინამოადგილის წარდგინებით აფხაზეთის კანონიერ მთავრად უზენაესად დამტკიცებული, და მრავალგვარი ხელმწიფური წყალობებით აღვსილი, იმდენად უძღური იყო სამართავად ამჟამად მისთვის ნაბოძებ ქვეყანაში, რომ უზენაესად დამტკიცებული სიგელისა და განმასხვავებელი ნიშნების მისაღებად საკუთარ სახლში, აფხაზეთში წასვლას ვერ ბედავს შიშით თავისი ძმის მამის მკვლელი ასლან-ბეისა, რომელსაც თურქთა ლაშქარი ჰყავს, რომ თავს არ დაესხას და არ ააოხროს მისი სახლი. რასაც, ვხედავ არა მარტო თქვენი მოხსენებიდან, არამედ მისივე წერილიდან, რომელიც მე გამომიგზავნა და სადაც ის ითხოვს დახმარებას ლაშქრით, რომლის გარეშეც ის სამეგრელოს დატოვებასაც ვერ ბედავს **(Акты.IV.გვ.421)**

სხვა გზა არ იყო. ცხუმის ციხე აუცილებლად უნდა აეღოთ და რუსეთის მიერ ხელოვნურად შექმნილი აფხაზეთის მთავრისათვის უნდა გადაეცათ.

1810 წლის 10 ივლისს რუსეთის ჯარებმა სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ აიღეს ცხუმის ციხე-სიმაგრე. ასლან ბეგ შარვაშიძე გაიქცა და თავი მთებს შეაფარა.

გიორგი (საფარ-ბეგ) შარვაშიძე რუსთა ჯარის ასეულის თანხლებით, რომელსაც სათავეში მაიორი მოიზი ედგა, მხოლოდ ამის შემდეგ ჩავიდა ცხუმში. აქ, აფხაზი თავად-აზნაურების, უხუცესებისა და გლეხობის თანდასწრებით, მაიორმა მოიზმა მას საზეიმოდ გადასცა სამთავრო ნიშნები და სიგელი მისი აფხაზეთის მთავრად დამტკიცების შესახებ. „იქ დამსწრე აფხაზობამ, მოხიბლულმა მათთვის ესოდენ ახალი სანახაობით, წერს ალ.ტორმასოვი, საზეიმოდ აღიარა საფარ-ალი ბეგი თავის მთავრად“ (Акты.IV. გვ.425).

აი, ასე გახდა გიორგი (საფარ-ბეგ) შარვაშიძე აფხაზეთის პირველი მთავარი, ასე, თითქმის მეყსეულად წარმოიშვა აფხაზეთის სამთავრო, რომლის ხელისუფლება იმთავითვე თუ არა, თანდათან მაინც, გავრცელდა მთელს აფხაზეთზე ფსოუდან ღალიძგამდე.

აფხაზეთის სამთავროს ჩამოყალიბება, მისი მთავრის ძალაუფლების განმტკიცება, რუსეთის შორს გამიზნული პოლიტიკური გეგმის ნაწილი იყო. ერთის მხრივ რუსეთის მხრიდან მართვადი, მეტნაკლებად ძლიერი აფხაზეთის სამთავრო, მისი ჩრდილოეთით, ზღვისპირეთში და მთებში განსახლებულ, ნებიერ ჩერქეზ ტომთა დამორჩილებაში შეუწყობდა ხელს რუსეთს, მეორეს მხრივ განამტკიცებდა რუსეთის ბატონობას დასავლეთ საქართველოში, და რაც მთავარია, ყოველივე ამით, რუსეთი მტკიცედ იკიდებდა ფეხს შავ ზღვაზე. აფხაზეთის სამთავროს შექმნით რუსეთი კიდევ ერთი მნიშვნელოვან, შორს გამიზნულ თვითდაზღვევასაც იკეთებდა. საქმე იმაშია, რომ ოდიშის სამთავრო, მართალია დაჟინებით არა, მაგრამ ფრთხილად მაინც აცხადებდა თავის უფლებას მთელ ე.წ. დიდ აფხაზეთზე. ოდიშის დედოფალი ნინო ბაგრატიონი 1808 წლის 8 ივნისს რუსეთის იმპერატორს, მაგალითად ასეთ რამეს წერდა: „თუმცაღა ჟამმან ცვლილებისამან და მეზობლობისა უთანხმოებამან განხადა მფლობელობისაგან სამთავროსა ჩვენისა ესე აფხაზეთი, გარნა უწინარეს იყო მკვიდრი ტახტი ნიკოფსისა ლევან დადიანისა და წინაპართა მათთა და გარდაცვალებული კაცია დადიანი... ახდევინებდა ხარკსა და არს უკვე წევრი სამეგრელოისა, რომლისთვის მარჯვე მისაღებელ არს მონარხობისა მიერ თქვენისა...“ (Акты. III. გვ.201).

ცხადია, აფხაზეთის ოდიშის მთავრისათვის დამორჩილება სულაც არ იყო რუსეთისათვის ხელსაყრელი. ჯერ ერთი, რომ თვითონ ოდიშის სამთავრო გაძლიერდებოდა და შეიძლება აქამდის მორჩილი მისი მთავარი, პოლიტიკური ვითარებისდა კვალად ან ყოფილიყო რუსეთის მორჩილი ან არა. ესეც არ იყოს, აფხაზეთში მკვიდრად ფეხის მოკიდებისათვის აუცილებელი იყო თვით აფხაზ ფეოდალთა მომხრობა, რაც, ცხადია ძლიერ გაძნელდებოდა ამ შემთხვევაში, თუ ოდიშის მთავრისათვის აფხაზეთის დამორჩილებას შეეცდებოდნენ. ყოველივე ამის გამო რუსეთის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა რამდენიმე წვრილ სამფლობელოდ დაქუცმაცებული აფხაზეთის გადაქცევა ერთიან სამთავროდ და მისი მთავრის ძალაუფლების განმტკიცება იმ ზომამდე, რამდენიც საკმარისი იქნებოდა წვრილ აფხაზურ სამფლობელოთა ჩვეულებრივ მამულებად გადაქცევისათვის და თავნება ფეოდალების ალაგმვისათვის. რუსეთის ამგვარ პოლიტიკაზე მეტყველებენ ამ ხანის რუს მოხელეთა ჩანაწერები და წერილები. მაგალითად, გენერალი ევგენი გოლოვინი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს: „В Абхазии водворено согласие, достоинство владетеля возвищено, власть его над полудыкими и хишними Абхазцами по возможности утверждена, а тем самим край етот более и более за нами обеспечивается“. (Акты.V.გვ.306).

ხედავთ, 1838-1842 წლებში კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის წარმმართველი ევგენი გოლოვინიც არ მალავს რომ აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების განმტკიცება რუსეთის მიერ აფხაზეთის ათვისებას უზრუნველყოფდა. სწორედ ამიტომ იმ ძირითად მიმართულებებს შორის, რომელსაც უნდა უზრუნველეყო კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოს საბოლოოდ დამკვიდრება, ე.გოლოვანი ასახელებს“ **აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების** გაძლიერებისა და აფხაზეთში მისი გავლენის განმტკიცების ხელშეწყობა“-ს (იქვე.გვ.281).

საყურადღებოა, რომ რუსი მოხელე კროკი, რომელიც შესანიშნავად იყო გაცნობილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთისა და სამეგრელოს პოლიტიკურ ცხოვრებას, პირდაპირ აღნიშნავდა, რომ **აფხაზეთის მთავარი გიორგი (საფარ-ბეგ) შარვაშიძე, რუსეთის მიერ ძალით შექმნილი ხელისუფალი იყო** (Крок. О состоянии Мингрелии и Абхазии. ЦГИА. ПЕТЕРБУРГ. 1268, 1837. №7—Р. ф.14-29).

ე.გოლოვინის წინამოადგილე, ბარონი გრიგოლ როზენი, რომელსაც საქართველოს მთავარმმართებლის სავარძელი 1831-1838 წლებში ეკავა, 1834 წელს, აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს (1822-1864) ჭირჭილნარევი სიბრაზით წერდა: „Что с вами будет, если сильная Росииская держава, доставившая в Абхазии дому вашему первенство и всеми средствами поддерживающая вас, откажется от оказываемого покровительства, без которого вы и существовать от оказываемого покровительства, без которого вы и существовать не можете?“ (Акты. VIII. ч.1. стр.447).

გ.როზენის ამ სიტყვებს, როგორც იტყვიან, განმარტება არ სჭირდება. აქ ყველაფერი ნათელია, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია როზენის ამ სიტყვების მამტკიცებელი კიდევ ერთი დოკუმენტის მოშველიება, რადგან მასში შარვაშიძეთა სახლის წევრის შეხედულებაა ასახული. 1832 წლის შეთქმულების მონაწილემ კონსტანტინე შარვაშიძემ ერთერთ დაკითხვაზე განაცხადა: „არც მე და არც ჩემს სახლს არ შეგვიძლიან არსებობა რუსეთის მთავრობის გარეშე“ **(ბგოზალშვილი, 1832 წლის შეთქმულება IIIაბ.1976.გ.429).**

აფხაზეთის მთავრის ძალაუფლების გაძლიერებისათვის ხელშეწყობის პოლიტიკამ, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებდა, XIX საუკუნის შუა ხანებისათვის აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება იმდენად გააძლიერა, რომ აფხაზი თავადები და უხუცესები, რომლებიც აფხაზეთში რუსეთის მიერ დასმული პირველი მთავრის გიორგი (საფარ-ბეგ) შარვაშიძის ზეობის ხანაშიც (1810—1821) კი ვერ ელეოდნენ ადრინდელ დამოუკიდებლობასა და უბატონობას, ამ დროს უკვე მთავრის შიშით (უფრო სწორედ კი მისი მხარდამჭერი და მფარველი რუსეთის შიშით), უსიტყვოდ მორჩილნი შეიქნენ.

აი, რას წერდა მიხეილ შარვაშიძეზე კავკასიის მეფის ნაცვალი (1862-1882 წლებში), დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი: „Правительство наше осипало его щедрыми наградами награждала всех, кого он желал, без суда отправляло в ссылку тех, кто козалось ему опасным. Благодаря етой подержке, власть кн. Шарвашидзе, прежде весьма шаткая и неопределенная, сделалась вполне неограниченною“... **(საქართველოს ცენტრ.სისტორიო არქივი.ფ.416.საქმე 177.ფ.12).**

ვგონებ, აქ მოხმობილი მასალები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ყოველგვარი ჭვის გარეშე გაკეთდეს ბოლო დასკვნაც:

აფხაზეთის სამთავრო 1810 წელს იქნა შექმნილი რუსეთის ხელისუფლების მიერ, როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (და კერძოდ საკუთრივ აფხაზეთში) რუსეთის სრულად გაბატონება-დამკვიდრებისა და მისი თანდათან ათვისების საშუალება.



ჟამი ხსოვნას ქუქუჟახა სანთლებად აინთების

ლევან (კოხტა) ჩუბინიძის ხსოვნას

ხანმოკლე იყო შენი სიცოცხლე. 19 წლის წახვედი და დაგვტოვე მოუნელებელი ტკივილი, მოუშუშებელი იარა.

აფხაზეთში იბრძოდი. შავნაბადას ბატალიონის სპეც-ნაწილში. ორჯერ ჩამოხვედი თბილისში და ისევ უკან გაბრუნდი. ალბათ, სხვანაირად არც მოიქცეოდი. იქ ხომ შენი მეგობრები გელოდნენ, შენ კი როგორი უღალატო იყავი. აკი გითქვამს დისთვის — მეგობრებს ვერ ვუღალატებო.

ოცი წლისაც არ იყავი და უკვე გმირობაც მოასწარი. ორი სიცოცხლე გადაარჩინე, შენი კი სამსხვერპლოზე მიიტანე. 22 ივნისს გამთენიისას მოგისწრაფა სიცოცხლე მტრის ტყვიამ.

„სიკვდილსაც რჩეული ჰყვარებიაო". შენ მართლაც რომ ყველასაგან გამორჩეული იყავი — წყნარი, ზრდილობიანი, სულგრძელი, ლამაზი, კოხტა. ნაწილში შეგარქვეს ეს სახელი, იმიტომ რომ მართლაც კოხტა იყავი.

1 ივლისი შენი დაბადების დღეა. უშენოდ შეხვდება შენი ოჯახი ამ დღეს, უშენოდ მოვა მეოცე ზაფხული.

ძალიან გვაკლიხარ გვენატრები, შენ მარად დარჩები ჩვენს გულებში.

მეგობრები

სამძიმარი

24 ივნისს სოხუმის დაბომბვისას დაიღუპა პოეტი გურამ სალია.

მტერმა კიდევ ერთი დიდებული ქართველის ოჯახი დაიობლა.

სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულის ახლობლებს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის მებრძოლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აფხაზეთში, სოფელ აძიუჟბასთან, მამულის ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ ბატალიონის მებრძოლები:

კობა გელაშვილი.
(ხარაგაულის რ-ნის სოფ. ნადაბური).

ბადრი ბახტაძე.
(ქ. კასპი)

ბონდო იდუკაშვილი.
(დუშეთის რ-ნის სოფ. წითელსოფელი)

და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.

კობა გელაშვილი.



ბადრი ბახტაძე.

ბონდო იდუკაშვილი.

ქალაქ სოხუმთან 1993 წლის 24 ივნისს დაიღუპნენ 23-ე მექანიზირებული ბრიგადის მებრძოლები:

ზაზა მიდოდაშვილი, ზვიად თათარაშვილი და იური პატარაძე.



ზაზა მიდოდაშვილი

ზვიად თათარაშვილი

იური პატარაძე

მეორე ჯუნა

ცხოვრებაში, და მათ შორის ცხადია მედიცინაშიც, ხშირად ხდება ღირებულებათა გადაფასებ. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ რაც ჩვენში, და არა მარტო ჩვენში, ექსტრასენსებსა და ე.წ. ექიმბაშებს ლამის ჩაქოლვით ვემუქრებოდით (ამ საქმეში განსაკუთრებით ჩვენ ვაქტიურობდით).

დღეს ამ მხრივ მდგომარეობა შეიცვალა. ყველა მათი ქმედება შედეგებით ფასდება — მათი მიღწევები ხანდახან საოცრადაც კი გვეჩვენება. ამაში პირად დავრწმუნდი, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ კი ქალბატონმა ეთერი ბოლაშვილ-კვიკვილაშვილმა წყლულოვან თორმეტგოჯა ნაწლავზე მიმკურნალა და ოპერაციას გადამარჩინა — ერთ თვეში შემიხორცდა.

აქვე სიამოვნებით მინდა აღვნიშნო რომ ქალბატონი ეთერი საქართველოს დამსახურებული ექსტრასენსია და ამავე დროს საერთაშორისო კატეგორიის ექსტრასენსის წოდებაც აქვს მინიჭებული. იგი წარმატებით მკურნალობს ბავშვებში ესოდენ გავრცელებულ, ენურეზს. მან ასეთივე წარმატებით განკურნა ამ სენისგან ჩემი 7 წლის გოგონა.

მე ამ წერილით, ცხადია უპირველესად მადლობას ვუხდი ქალბატონ ეთერს. და ამავე დროს მინდა იმათაც მივაწვდინო ხმა, ვისაც მსგავსი, ან სხვა დაავადება აწუხებთ. დარწმუნებული ვარ ქალბატონი ეთერი მეორე ჯუნაა და მას დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას.

ვინც მისი ფენომენით დაინტერესდება შეუძლია დაურეკოს ტელეფონით ნომერზე 66-17-37.

ექიმი ნიკა კალანდაძე



გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ულოცავს მანანა რეხვიაშვილს დაბადების დღეს, უსურვებს ჯანმრთელობას, სიყვარულს, ბედნიერებას და ხანგრძლივ, ლამაზ სიცოცხლეს.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კომახიძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საბაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
40 კუპონი